# ხობის მოამბე

№10-11 (7093)
23 ნოემბერი, ხუთშაბათი,
2017 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო


## ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა



20 ნოემბერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, მეოთხე მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

სხდომას ხობის მუნიციპალიტეტის მერი **გოჩა ქაჯაია** ესწრებოდა.

ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **დათუნა ჯობავამ** გახსნა. მან საკრებულოს წევრებს სიტყვით მიმართა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები შეაჯამა და 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების ოქმი წარადგინა.

სხდომას საკრებულოს უხუცესი წევრი, **ვლადიმერ ქანთარია** უძღვებოდა.

სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, მეოთხე მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედ **ედიშერ ჯობავა** იქნა არჩეული.

საკრებულოს წევრებმა, ფარული კენჭისყრით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ, ხმათა უმრავლესობით **მამუკა ქარდავა** აირჩიეს.

(ვრცელ ინფორმაციას გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ).

## ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი (პროექტი)

8-14

## 23 ნოემბერი–გიორგობა. გილოცავთ!



ეკლესია წმიდა გიორგის ხსენებას წელიწადში ორჯერ, 6 მაისს–წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს–მისი ბორბალზე წამების დღეს დღესასწაულობს.

წმიდა დიდმოწამე გიორგის მეოხებით ღმერთმა გააძლიეროს სრულიად საქართველო!

## „ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევის წინაშე დგას“

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა გოჩა ქაჯაიამ საზოგადოებას გაწეულ საქმიანობაზე ანგარიში ჩააბარა.



მუნიციპალიტეტის სახელით, გოჩა ქაჯაიამ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახურს, თითოეულ მოსამსახურეს, გამგებლის თითოეულ წარმომადგენელს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთელს შემადგენლობას, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტის წევრებს ხობის მუნიციპალიტეტიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციას, ბიზნესმენს, მეწარმეს და თითოეულ რიგით მოქალაქეს, თანადგომისათვის, გამოხატული ნდობისა და მუნიციპალიტეტში განხორციელებულ საქმეებში აქტიური ჩართულობისა და ხელშეწყობისთვის მადლობა გადუხადა.

ვაქვეყნებთ ანგარიშის სრულ ვერსიას.

3-7

## 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგები შეჯამდა

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს–საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის, მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებში, ხობის მუნიციპალიტეტის მერად არჩეულია გოჩა ქაჯაია.

როგორც პროპორციული, ისე მაჟორიტარული წესით არჩეულია საკრებულოს 37 წევრი.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობის 37 წევრიდან 22 წევრი არჩეულია მაჟორიტარული სისტემით, 20 წევრი „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველოდან, 1 წევრი „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი–საქართველოს პატრიოტთა ალიანსიდან“. 1 წევრი „შენების მოძრაობიდან“.

პროპორციული სისტემით საკრებულოს წევრების 15 მანდატი შემდეგი პროპორციით გადანაწილდა 4 საარჩევნო სუბიექტზე: 9 მანდატი–„ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, 3 მანდატი–„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

2 მანდატი–„ბაქრაძე, უგულავა–ევროპული საქართველო“. 1 მანდატი–„შალვა ნათელაშვილი–საქართველოს ლეიბორისტული პარტია“.



მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები
21.10.2017
ფორმა №1-3.96.03 განკ. №106/2017
№ 66 ხობის საარჩევნო ოლქი
ხელახალი არჩევნები
არჩევნების მეორე ტური
საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი 63

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | 27931 |
| 2 | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | X15303 |
| 3 | მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | X26200 |
| 2 | მამუკა ჭოხონელიძე | XX2655 |
| 5 | ანტონ ადამია | XX2365 |
| 27 | მაკა მეტრეველი | XXX203 |
| 41 | გოჩა ქაჯაია | XX8969 |
| 4 | ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (მიცემულ ხმათა რაოდენობების ჯამი) | X14192 |
| 5 | ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | XX1094 |

| № | საარჩევნო უბანი № | ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში | ამ უბნებში გაცემულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | ბათილად ცნობის საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები | | | | |

ხობის მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის სახელწოდება) მერად არჩეულია გოჩა ქაჯაია (სახელი, გვარი)

შედგენის თარიღი - 01 - 11 2017 წ., დრო: 12 საათი 26 წუთი

(თავმჯდომარე) / დ. ჯობავა; (თავმჯდომარის მოადგილე) / შ. ცქიტიშვილი
(მდივანი) / ს. შენგელია
წევრები: / ბ. ნოდია

| № | ოქმის მონაცემების გრაფა, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი | კომისიის წევრის სახელი და გვარი | კომისიის წევრის ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| განსხვავებული აზრი | | | |



მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნები
21.10.2017
ფორმა №1-3.23.06 განკ.№ 439/2016
№ 66 ხობის საარჩევნო ოლქი
საოლქო საარჩევნო კომისიის პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი 63

| | | |
|---|---|---|
| 1 | ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | 27931 |
| 2 | არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში | X15303 |
| 3 | მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | X26200 |
| 2 | ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო | XX2014 |
| 3 | [illegible] | XXX533 |
| 4 | [illegible] | XXXX32 |
| 5 | [illegible] | XX2487 |
| 8 | [illegible] | XXX555 |
| 9 | [illegible] | XXX160 |
| 10 | [illegible] | XXX617 |
| 20 | [illegible] | XXX380 |
| 31 | [illegible] | XXX106 |
| 39 | [illegible] | XXXX39 |
| 41 | [illegible] | XX7687 |
| 4 | ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა (მიცემულ ხმათა რაოდენობების ჯამი) | X14610 |
| 5 | ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა | XXX678 |

| | სახელი, გვარი | წარმდგენი |
|---|---|---|
| 1 | მამუკა ჭოხონელიძე | ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო |
| 2 | [illegible] | ბაქრაძე, უგულავა – ევროპული საქართველო |
| 3 | [illegible] | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 4 | [illegible] | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 5 | [illegible] | ერთიანი ნაციონალური მოძრაობა |
| 6 | [illegible] | შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია |
| 7 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 8 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 9 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 10 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 11 | მამუკა ქარდავა | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 12 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 13 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 14 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |
| 15 | [illegible] | ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო |

| № | საარჩევნო უბანი № | ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში | ამ უბნებში გაცემულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა | ბათილად ცნობის საფუძველი |
|---|---|---|---|---|
| ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები | | | | |

(თავმჯდომარე) / დ. ჯობავა; (თავმჯდომარის მოადგილე) / შ. ცქიტიშვილი
(მდივანი)
წევრები: / ბ. ნოდია

შედგენის თარიღი - 01 - 11 2017 წ., დრო: 12 საათი 42 წუთი

| № | ოქმის მონაცემების გრაფა, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი | კომისიის წევრის სახელი და გვარი | კომისიის წევრის ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1. | [illegible] | გურამ ქარდავა | [illegible] |
| განსხვავებული აზრი | | | |

# 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგები შეჯამდა

**№ 66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი**

## ო ქ მ ი

*ქ. ხობი* *2017 წლის 01 ნოემბერი*

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების, 75-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 150-ე მუხლის მე-3–მე-5 პუნქტების შესაბამისად, №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიამ 2017 წლის 01 ნოემბრის სხდომაზე შეაჯამა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგები და დაადგინა:

### I. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: 27931
2. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა: 15303
3. ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა: 678
4. საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმების რაოდენობა:

| № | პარტიის (ბლოკის) დასახელება | მიღებული ხმების რაოდენობა | % | მიღებული მანდატების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2. საარჩევნო ბლოკი „ბაქრაძე, უგულავა ევროპული საქართველო“ | 2014 | 13,79% | 2 |
| 2 | 3. საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა–დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ | 533 | 3,65% | 0 |
| 3 | 3. საარჩევნო ბლოკი „დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა–დემოკრატიული მოძრაობა-თავისუფალი საქართველო“ | 32 | 0.22% | 0 |
| 4 | 5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ | 2487 | 17.02% | 3 |
| 5 | 8. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ | 555 | 3.80% | 0 |
| 6 | 9. „მემარცხენე ალიანსი“ | 160 | 1.1% | 0 |
| 7 | 10. შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია | 617 | 4.22% | 1 |
| 8 | 20. „შენების მოძრაობა“ | 380 | 2.6% | 0 |
| 9 | 31. „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“ | 106 | 0.73% | 0 |
| 10 | 39. „პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა“ | 39 | 0.27% | 0 |
| 11 | 41. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ | 7687 | 52.61% | 9 |

### II. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

**„ქართული ოცნება“**
1. ვარაზი გაბედავა
2. ედიშერ ჯობავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. მამუკა ქარდავა
6. მერაბ ფილიპია
7. დიტო ხასია
8. შადიმან ჭილაია
9. ირაკლი ბერაია

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“**
1. ია ჯიშკარიანი
2. თემური გულუა
3. ირაკლი ნადარაია

**„ბაქრაძე, უგულავა–ევროპული საქართველო“**
1. მამუკა ჭოხონელიძე
2. როლანდი სერგია

**„შალვა ნათელაშვილი–საქართველოს ლეიბორისტული პარტია“**
2. კახა ლატარია

### III. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული არიან:

| ადგილობრივი მაჟორიტარული ოლქის № და დასახელება | კანდიდატის სახელი და გვარი | წარმდგენი |
|---|---|---|
| №66.01.01 ქ.ხობის | კონსტანტინე ნასარაია | „ქართული ოცნება“ |
| №66.01.02 ქ.ხობის | ვლადიმერ ქანთარია | „ქართული ოცნება“ |
| №66.02 ახალსოფლის ადმ.ერთ | ნიკოლოზი ვეკუა | „ქართული ოცნება“ |
| №66.03 ახალი ხიბულის ადმ.ერთ | მერაბ ნადარაია | „ქართული ოცნება“ |
| №66.04 ბიის ადმ.ერთ | ფრიდონ შონია | „ქართული ოცნება“ |
| №66.05 პირველი მაისის ადმ.ერთ | გოჩა ჯობავა | „ქართული ოცნება“ |
| №66.06 გურიფულის ადმ.ერთ | თეა გელანტია | „ქართული ოცნება“ |
| №66.07 ზემო ქვალონის ადმ.ერთ | თენგიზ აბაკელია | „ქართული ოცნება“ |
| №66.08 თორსა-დღვაბის ადმ.ერთ | მზია ლემონჯარია | „ქართული ოცნება“ |
| №66.09 ნოჯიხევის ადმ.ერთ | გოჩა სიჭინავა | „ქართული ოცნება“ |
| №66.10 პატარა ფოთის ადმ.ერთ | აკაკი ხურცილავა | „ქართული ოცნება“ |
| №66.11 პირველი ხორგის ადმ.ერთ | კობა გოქაძე | „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ |
| №66.12 საგვიჩიოს ადმ.ერთ | იგორი გოგოლაძე | „ქართული ოცნება“ |
| №66.13 საჯიჯაოს ადმ.ერთ | ავთანდილ ხუნჯუა | „ქართული ოცნება“ |
| №66.14 ქარიატის ადმ.ერთ | კახა მიქაბერიძე | „ქართული ოცნება“ |
| №66.15 ქვემო ქვალონის ადმ.ერთ | ტარიელ ალექსანდრია | „ქართული ოცნება“ |
| №66.16 ჭალადიდის ადმ.ერთ | ბექა მამაცაშვილი | „ქართული ოცნება“ |
| №66.17 ყულევის ადმ.ერთ | გია წულაია | „ქართული ოცნება“ |
| №66.18 შუა ხორგის ადმ.ერთ | გიგა ნასარაია | „ქართული ოცნება“ |
| №66.19 ძველი ხიბულის ადმ.ერთ | გენადი ქაძანაია | „ქართული ოცნება“ |
| №66.20 ხამისკურის ადმ.ერთ | ლაშა ცატავა | „შენების მოძრაობა“ |
| №66.21 ხეთის ადმ.ერთ | აბელ ქირია | „ქართული ოცნება“ |



ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის ანგარიში

# „ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევის წინაშე დგას“

## გოჩა ქაჯაია—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!

მაქვს პატივი, საზოგადოებას წარვუდგინო ანგარიში განვლილი წლის მანძილზე გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ძირეული რეფორმის დაწყებიდან– 2014 წლიდან დღემდე უკვე ტრადიციად იქცა კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება, არჩევითი ორგანოების მხრიდან ამომრჩევლებისადმი ანგარიშის ჩაბარების კუთხით.

დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც ერთ-ერთი იმ საჯარო შეხვედრათაგანია არაოფიციალურ და ოფიციალურ სისტემატურ შეხვედრებს შორის, სადაც გამგებელი საზოგადოების ფართო სპექტრს წარუდგენს ანგარიშს გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

გასულ წლებში წარდგენილი ანგარიშებით საზოგადოება ინფორმირებულია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული სამუშაოების შესახებ და მათ შორის წლევანდელი წელი განსაკუთრებით საპასუხისმგებლო იყო, როგორც რეფორმირებული და გაძლიერებული თვითმმართველობის პირველი სამი წლის დასკვნითი ფაზა, რომლის შემდგომ, უახლოეს დღეებში გადავდივართ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ახალ ეტაპზე, რაც უკვე საკანონმდებლო ცვლილებებით არის გათვალისწინებული.

სწორედ, განვლილმა პერიოდმა და განხორციელებულმა საქმიანობამ მოგვცა ამომრჩევლების მხრიდან ნდობის ის მანდატი, რაც 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგებით გამოიხატა.

მადლობას გიხდით ამ ნდობისთვის - ჩვენ თქვენს იმედებს კვლავ გავამართლებთ.

ადგილობრივ ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა მართებს, რათა ადგილობრივ დონეზე ეფექტურად, კომპეტენტურად და ოპერატიულად მოაგვაროს ისეთი სახის საკითხები, რომლებიც საზოგადოებისთვის პირველი რიგის ინტერესებს წარმოადგენენ.

ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა განვლილი პერიოდის განმავლობაში, რაც მუდმივად და მზარდად აისახება მუნიციპალიტეტში მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ინფრასტრუქტურისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.



გაწეული საქმიანობის ეფექტურობაში თანაბარი წვლილი მიუძღვის გამგეობის თითოეულ სამსახურს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად ალასრულებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისთვის მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ფუნქციონირებს 8 სამსახურის მეშვეობით. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსთვის მიკუთვნებული ცალკეული საკითხების განხილვის, შესწავლის, შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების და სახელმწიფოსგან მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგეობის პასუხისმგებელი პირების, სხვადასხვა სამსახურის მოსამსახურეთა და სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით ასევე შექმნილია 14 კოლეგიური ორგანო კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სახით, რომლის ფარგლებში ერთობლივად განიხილება გამგეობის კომპეტენციას მიკუთვნებული ისეთი საკითხები, რომელთა განხილვა სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენელთა თანამონაწილეობას საჭიროებს.

გამგეობის მიერ გაწეული საქმიანობის სრულყოფილად წარმოჩენის მიზნით, წარმოგიდგენთ როგორც სამსახურების მიერ წარმოებულ საქმიანობას მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტისთვის, ასევე მათი საქმიანობის შედეგად მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიღწეულ შედეგებს:

მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლის მოცულობითაც იგი წლების განმავლობაში გამორჩეული იყო სხვა მუნიციპალიტეტებისგან.

მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა და საკრებულოს მიერ დამტკიცდა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №25 დადგენილებით, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში დამტკიცდა 8243,8 ათასი ლარის, ხოლო საგასავლო ნაწილში - 8243,8 ათასი ლარის ოდენობით. 2017 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 11974,1 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საგასავლო ნაწილში– 13886,8 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 3940,3 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გრანტებია, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

იანვარ-სექტემბრის ბიუჯეტის შესრულების შედეგებით შემოსულობების წლიური გეგმა შესრულებულია 43,7 %-ით (წლიური გეგმა 11974,1 ათასი ლარი - 9 თვის შესრულება 5235,9 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების სახით გეგმიური წლიური 7600,0 ათასი ლარიდან 9 თვეში შემოსულია 3698,5 ათასი ლარი–3901,5 ათასი ლარით ნაკლები (აღნიშნული თანხის ბიუჯეტში ასახვა მოხდება 15 ნოემბრამდე, ვინაიდან სასოფლო სამეურნეო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის სავადო პერიოდი 15 ნოემბერია).

სხვა შემოსავლები–წლიური გეგმით გათვალისწინებული 383,8 ათასი ლარიდან შემოსულია 376,1 ათასი ლარი– 7,7 ათასი ლარით ნაკლები, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის–წლიური გეგმიური 160,0 ათასი ლარიდან 9 თვეში შემოსულია 56,3 ათასი ლარი - 103,7 ათასი ლარით ნაკლები. სანებართვო მოსაკრებელი - წლიური გეგმიური 6,0 ათასი ლარიდან შემოსულია 49,4 ათასი ლარი - 43,4 ათასი ლარით მეტი. შემოსავალი ჯარიმებიდან და სანქციებიდან–წლიური გეგმიური 120,0 ათასი ლარიდან შემოსულია 77,9 ათასი ლარი; მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის - წლიური გეგმიური 31,0 ათასი ლარიდან შემოსულია 14,2 ათასი ლარი; შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - წლიური გეგმიური 36,8 ათასი ლარიდან შემოსულია 28,7 ათასი ლარი.

შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან - წლიური გეგმიური 50,0 ათასი ლარიდან 9 თვეში შემოსულია 88,9 ათასი ლარი - 38,9 ათასი ლარით მეტი, მათ შორის: შემოსულობა არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 43,5 ათასი ლარი; სხვა შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან - 0,3 ათასი ლარი; შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვიდან - 38,3 ათასი ლარი; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის გაყიდვიდან - 3,4 ათასი ლარი და შემოსულობა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებიდან - 3,4 ათასი ლარი.



„ცოტნეობის“ დღესასწაული

წლიური ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი 9 თვეში ათვისებულია 48,8 %-ით (წლიური გეგმა 13886,8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 6775,3 ათასი ლარი), კერძოდ:

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი - წლიური გეგმით გათვალისწინებული 2799,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 1891,7 ათასი ლარი;

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების დაცვა - წლიური გეგმიური 119,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 86,7 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – წლიური გეგმით გათვალისწინებული 8304,6 ათასი ლარიდან ათვისებულია 3043,5 ათასი ლარი, აქედან: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯი - 1029,9 ათასი ლარი; კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია - 996,4 ათასი ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (2016 წლის ნაშთი) 16,3 ათასი ლარი; სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 8,2 ათასი ლარი. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან ათვისებულია 992,7 ათასი ლარი;

საგანმანათლებლო ღონისძიებები - წლიური გეგმიური 1091,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 711,5 ათასი ლარი, მათ შორის: ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ ხარჯი - 678,3 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მიერ ათვისებულია 31,7 ათასი ლარი; ხოლო, საჯარო სკოლების დაფინანსება 1,5 ათასი ლარია.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - წლიური გეგმიური 988,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 676,2 ათასი ლარი, აქედან: სპორტის განვითარების ხელშეწყობა–100,8 ათასი ლარი; კულტურის განვითარების ხელშეწყობა– 38,8 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება– 6,8 ათასი ლარი; რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა– 4,3 ათასი ლარი; კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა– 525,5 ათასი ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნ-

4

# „ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევის წინაშე დგას“

3

## გოჩა ქაჯაია—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ველყოფა– 2017 წლის გეგმიური 582,3 ათასი ლარიდან 9 თვეში ათვისებულია 365,7 ათასი ლარი, კერძოდ: მოსახლეობის ჯანდაცვის პროგრამები– 101,6 ათასი ლარი, მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამა– 168,6 ათასი ლარი; ხანძრისა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება– 20,9 ათასი ლარი; მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა - 34,3 ათასი ლარი.

2017 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების ნაშთი შეადგენდა 912,3 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოზიდული სახსრების უმეტესი ნაწილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად მიიმართება.

2017 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და ხორციელდება 9 პროექტი, საერთო თანხით 4 021,03 ათასი ლარი; კერძოდ:

. ხობის მუნიციპალიტეტში კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის კეთილმოწყობა (მეორე ეტაპი) - 349,85 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 178,02 ათასი ლარი);

· ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება - 597,00 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 303,77 ათასი ლარი);

· პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საჩოკორაიოს უბანში გზის კეთილმოწყობა (ცემენტ-ბეტონის საფარის დაგება) - 560.00 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 284,95 ათასი ლარი);

· პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა (ცემენტ-ბეტონის საფარის დაგება) - 817,05 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 494,33 ათასი ლარი);

· ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში, სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მოასფალტება) - 340,00 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 17,00 ათასი ლარი);

· საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა) - 500,00 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 254,40 ათასი ლარი);

· საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები– 200,00 ათასი ლარი (თანადაფინანსება– 101,77 ათასი ლარი);

· შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი ქსელის მოწყობის სამუშაოები - 600,00 ათასი ლარი (თანადაფინანსება - 305,28 ათასი ლარი);

· ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 57,13 ათასი ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში (როგორც საამშენებლო ასევე, საპროექტო) დაფინანსდა და ხორციელდება 17 პროექტი, საერთო თანხით 1,5 მილიონი ლარი, კერძოდ:

· ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახალ ხიბულაში (საადამიოს უბანი) წარეცხილი სასოფლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 12.00 ათასი ლარი;

· ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ძველ ხიბულაში (საჯაკონიოს უბანი) წარეცხილი საავტომობილო გზის კიუეტების მოწყობა რკინაბეტონით (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება) - 1,5 ათასი ლარი;

· ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში წარეცხილი გზის ვაკისისა და სავალი ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 30,0 ათასი ლარი;

· საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე გადებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 70,0 ათასი ლარი;

· საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში მდინარე ზანაძგაზე ხიდის (საჭანტურიოს უბანი) რეაბილიტაცია - 70,0 ათასი ლარი;

· ბიის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბიაში ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 270,0 ათასი ლარი;

· ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში წარეცხილი ხიდბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15,0 ათასი ლარი;

· ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 35,0 ათასი ლარი;

· ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სახოჭოლავოში ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 0,3 ათასი ლარი;

· ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში (ქალაქი ხობი) მთისწინა არხის წარეცხილი ჯებირების სარეაბილიტაციო სამუშაოები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 2,9 ათასი ლარი;

· საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯაპიშაქარში ღელე ოკურჩხალეზე წარეცხილი სანაპირო ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 130,0 ათასი ლარი;

· საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (საპროექტო-



აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პროგრამა

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 2,3 ათასი ლარი;

· ქარიატის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გამოღმა ქარიატაში მდინარე ხობთან ნაპირსამაგრის მოწყობა - 449,90 ათასი ლარი;

· პირველი ხორგის ადმინისტრაციული ერთეულში მდინარე ხობის წარეცხილი მარჯვენა სანაპირო ზოლის ნაპირსამაგრის მოწყობა (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 2,9 ათასი ლარი;

· ქალაქ ხობში, ჭყონდიდელის ქუჩაზე ხიდის მიმდებარედ ნაპირსამაგრის მოწყობა - 250,0 ათასი ლარი;

· ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კუთხე ნოჯიხევში ხიდის მიმდებარედ, ღელეს სანაპირო ზოლის რეაბილიტაცია - 90,0 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსდა და ხორციელდება 1154.6 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები; კერძოდ:

· ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ხეთაში ბარათაშვილის ქუჩაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა - 36.2 ათასი ლარი;

· ახალი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუბში, სალომაიოს უბანში ქუჩაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა - 27.9 ათასი ლარი;

· ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჯაკონიოს უბანში ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა - 88.21 ათასი ლარი;

· ქ. ხობში ბარათაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა-მოასფალტება (საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება) - 0.7 ათასი;

· პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკვიკვინიოში გზის რეაბილიტაცია (საპროექტო– სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 8.9 ათასი ლარი;

· თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბაში გზის რეაბილიტაცია (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 8,1 ათასი ლარი;

· ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნოჯიხევში ბეტონის გზის მოწყობა - 69,2 ათასი ლარი;

· ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 30,0 ათასი ლარი;

· პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საკვიკვინიოს უბანში ლითონის ხიდის რეაბილიტაცია - 69,2 ათასი ლარი;

· ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოხვამეკარში წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 3,0 ათასი ლარი;

· ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის საფარცვანიოს უბანში წარეცხილი წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 24.3 ათასი ლარი;

· ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 389 ათასი ლარი;

· ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში საბავშვო ბაღის გადახურვის სამუშაოები - 53,4 ათასი ლარი;

· ხობის ცენტრალური სტადიონის საფარის (ბუნებრივი) რეაბილიტაცია (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) - 20,0 ათასი ლარი;

· ქ. ხობში, კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება) - 1,8 ათასი ლარი;

· ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა - 62,4 ათასი ლარი;

· ადგილობრივი გზების მოვლა-შენახვა - 120.0 ათასი ლარი;

· შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში საწრეტი არხის ამოწმენდა - 89.0 ათასი ლარი;

· მინი-მოედნების მოვლა-შენახვა - 17.0 ათასი ლარი.

სისტემატურად ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. გაცემულია 31 ნებართვა მშენებლობაზე, მშენებლობის შეთანხმებაზე - 27 დოკუმენტი, გამოვლინდა არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის -3 და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 1 ფაქტი.

ზედამხედველობის კუთხით სისტემატური კონტროლი მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირებაზე. საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მგლის 10 და ტურის 20 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების შესახებ. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით შექმნილია მონადირეთა 13 ჯგუფი, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ ინსპექტირებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოსახლეობისა და პირუტყვის დაცვას მტაცებელი ცხოველებისგან.

გამგეობის მიერ აქტიურად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული ქონების აღრიცხვა და მისი მართვისა და განკარგვისთვის წინადადებების და

5

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის ანგარიში

# „ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევის წინაშე დგას“

4

## გოჩა ქაჯაია—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი


სოციალური დაცვის პროგრამა

სათანადო დოკუმენტაციის მომზადება; სახელმწიფო და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების ჩატარება და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცია. ასევე განსაკუთრებულ კონტროლზეა აყვანილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებისა და რაციონალურად გამოყენების საკითხი. საჭიროების შემთხვევაში მზადდება შუამდგომლობები ლიცენზიებისგან გამოსათავისუფლებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე. გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული წერილის საფუძველზე მონიტორინგს ვაწესებთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე და ათვისების საკითხებზე.

ადგილობრივ ბიუჯეტში 9 თვის მდგომარეობით ბუნებრივი რესურსების სარგებლობიდან, მოსაკრებლის სახით შემოსულია 56003 ლარი. აუქციონის ფორმით ხორციელდება მუნიციპალური ქონების გაიჯარება - მიწის იჯარიდან ბიუჯეტში შემოსულია 52,9 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალური ქონების გაიჯარებიდან - 28,7 ათასი ლარი. კონტროლდება დასუფთავების მოსაკრებლის გეგმის შესრულების საკითხი. 9 თვის მდგომარეობით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 14000 ლარი; მათ შორის იურიდიული პირებიდან– 6 ათასი ლარი, ფიზიკური პირებიდან–6,5 ათასი, ხოლო მოსახლეობიდან– 1500 ლარი.

ეკონომიკური პროფილით მუნიციპალიტეტისთვის განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის და აგრარული რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე წელს განსაკუთრებული და მწვავე გამოწვევაა რეგიონის მასშტაბით ინვაზიური მავნებლის - აზიური ფაროსანას სახით, ინვაზიურ მავნებელთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტს გადმოეცა 38 ერთეული შესაწამლი აპარატი და პრეპარატები. შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისგან დაკომპლექტებული 38 ჯგუფი. ჯგუფის წევრებმა ტექნიკის და პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით სპეციალური ტრენინგები გაიარეს. რის შემდეგაც, მათ მიერ შეიწამლა 1243 ჰექტარი თხილის პლანტაცია. სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპზე მოსახლეობას დაურიგდა 11965 ლიტრი პესტიციდი და 11965 ერთეული ხაფანგი (ფერომონები).

გარდა სხვადასხვა პროფილის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კუთხით მუნიციპალიტეტში განხორციელებული საქმიანობისა და მოსახლეობისთვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა, არანაკლები ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტისა და ძეგლთა დაცვის ღონისძიებებს.

კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროზე საუბრისას აუცილებელია აღვნიშნოთ ის მთავარი ნიუანსი, რაზედაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებს მთავარ აქცენტს. ნებისმიერ სფეროში და განსაკუთრებით კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროში პრიორიტეტად შერჩეულიქნა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა ამ სფეროში მოღვაწე მოქალაქეებს, ახალგაზრდობას, ბავშვებს მიეცეთ საშუალება უფრო მეტად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვრცლად ვისაუბრეთ, მაგრამ მიზანშეწონილად ვთვლით ყურადღება გავამახვილოთ ამ სფეროების ცალკეულ ობიექტებზე.

კულტურის სახლის შენობა, რომელიც თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, წლების განმავლობაში საჭიროებდა სათანადო ყურადღებას. მუნიციპალიტეტში შემუშავდა „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ ჩამოყალიბების პროექტი, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია კულტურის, სკოლისგარეშე და ხელოვნების სფეროში განათლების მიღებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა ერთიან სივრცეში. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან პროექტი დაფინანსდა 800 ათასი ლარით. პროექტის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა და შენობა სრულად გადაიხურა, გამოიცვალა ელექტროსისტემა, ასევე სრულად გამაგრდა ზურაბ წერეთლის მიერ შექმნილი კულტურის სახლის ფასადის ბარელიეფი, რომლის სამაგრი სისტემა კოროზიისგან მთლიანად იყო ამორტიზირებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი. რეაბილიტაციის პროექტის დასრულების შემდეგ ხობს განახლებული „კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის სახლში წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კულტურის სფეროში მუშაობა არ შეფერხებულა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად ტარდება როგორც სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული კულტურულ-სანახაობრივი ღონისძიებები, ასევე კულტურისა და განათლების პროფილის შემოქმედებითი ღონისძიებები. ამ კუთხით აქცენტი აღებულია არამარტო ქ. ხობში დაგეგმილი ღონისძიებების ორგანიზებაზე, არამედ, საღონისძიებო აქტივობებზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტში საზეიმოდ აღინიშნა 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე. მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმსა და ხეთის მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმში გაიმართა თვითნასწავლი მხატვრისა და ფოტოგრაფის ირაკლი შონიას ნახატების და ფოტო-ნამუშევრების, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-დათვალიერება; მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის ხეთის თეატრონზე გაიმართა ახალგაზრდული კონცერტი ცნობილი საესტრადო მომღერლების მონაწილეობით; ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტი, მოეწყო თეატრალიზებული მსვლელობა, ხოლო ქუთაისის თოჯინების თეატრმა წარმოადგინა საბავშვო სპექტაკლი; 12 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტში, ტრადიციული საეკლესიო-სახალხო დღესასწაული „ცოტნეობა“ აღინიშნა. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული შემსრულებლები. „ჭადრების ხეივანში“ გაიმართა კულტურული და სპორტული ღონისძიებები და მოეწყო თვითნასწავლ ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა; სალოტბარო სკოლის მგალობელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს საგუნდო საზოგადოების მიერ გამოცხადებულ კონკურსსა და გალა-კონცერტში.


ნოჯიხევის საბავშვო ბაღის გახსნა

ადგილობრივი ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტს სკოლამდელი სააღმზრდელო საქმიანობა და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია წარმოადგენს. საბავშვო ბაღებში რადიკალურად შეიცვალა ათწლეულების განმავლობაში არსებული მძიმე მდგომარეობა. სტანდარტების შესაბამისად მოეწყო კვების ბლოკები, გარემონტდა საძინებელი ოთახები და სამზარეულო, გაფართოვდა სამეცადინო ოთახები, მოწესრიგდა სველი წერტილები, მოწესრიგდა წყლით მომარაგება, გადაიხურა შენობები, გამოიცვალა კარფანჯრები, შემოიღობა ეზოები. კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი გამოწვევაა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის რეალიზების შედეგად აღსაზრდელებს მაღალი სტანდარტების საბავშვო ბაღები და რეფორმირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროგრამა ექნებათ.

კულტურისა და განათლების სფეროს განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა და მნიშვნელოვანი აქტივობით გამოირჩევა სპორტის სფერო. სისტემატურად ტარდება ტურნირები, შეჯიბრებები, ოლიმპიადები ფეხბურთში, ლელობურთში, ჭიდაობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ნარდსა და ბილიარდში. ტრადიციულად, წლის ბოლოს გამოვლინდებიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები.

გარდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული ტურნირებისა, ხობელი სპორტსმენები აქტიურად და წარმატებით ასპარეზობენ საერთაშორისო ტურნირებში, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტს წელსაც ჰყავს ჩემპიონები და პრიზიორები ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, კრივში, მკლავჭიდში, ტაეკვონდოში.

2017 წლის იანვრიდან ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ გადავიდა ფეხბურთის განვითარების ფონდის დაფინანსებაზე, ხოლო ასაკობრივი ჯგუფების დაფინანსება ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიით - 119137 ლარის ოდენობით. მასობრივი ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა მემორიალური ტურნირები მინი ფეხბურთსა და ფეხბურთში. გარდა ამისა სამეგრელოს ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით და მათი უშუალო ჩართულობით ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის ტურნირი 2005-2006 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ: ბათუმის, ზუგდიდის, მარტვილის, ოზურგეთის, აბაშის, ხონის, ფოთის და ხობის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები.

კულტურისა და სპორტის სფეროში განსაკუთრებით აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის მიდგო-

6

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის ანგარიში

# „ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევის წინაშე დგას“

5

## გოჩა ქაჯაია—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

მა ინფრასტრუქტურის აღდგენა-მოწესრიგების კუთხით, რომლის ფარგლებშიც ქ. ხობის კულტურის სახლის რეაბილიტაციასთან ერთად, აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტად დასმული, მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა. განხორციელდა ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ფართო მასებს უახლოეს პერიოდში ექნებათ კიდევ ერთი შესაძლებლობა გამოავლინონ და განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები მოწესრიგებულ და კომფორტულ გარემოში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა ხობის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების ისტორიის შესწავლის მიზნით. ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში მოპოვებული მასალების საფუძველზე უახლოეს პერიოდში გამოიცემა წიგნი სახელწოდებით - „ყულევი“, რომლის თანაავტორები არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი და ისტორიკოსი გოგიტა ჩიტაია არიან.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შემოწმების მიზნით დათვალიერებულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები. საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით მოეწყო ლაშქრობები. ახალგაზრდებმა გამგეობის სპეციალისტების მეგზურობით დაათვალიერეს წმინდა სოფიოს ეკლესია, ჯეგეთას არქიტექტურულ კომპლექსები და ყურუმულიას ციხე.

აქტიური თანამშრომლობა წარიმართა მუნიციპალიტეტში ჩამოსულ ახალგაზრდა სპელეოლოგთა ჯგუფთან. განხორციელდა ხეთაში არსებული მღვიმეებისა და გამოქვაბულებების პირველადი აღწერა. როგორც მკვლევარები ირწმუნებიან, აღნიშნული მღვიმე და გამოქვაბული ძალიან საინტერესო შეიძლება გახდეს ტურისტებისა და სპელეოლოგიით დაინტერესებული პირებისთვის.

ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესწავლას, სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და შესაძლებლობის ფარგლებში, მათთვის სათანადო დახმარების გაწევას.

მუნიციპალიტეტში ერთიანი სოციალური დახმარების და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამა 2017 წელს 446430 ლარით განისაზღვრა, აქედან სოციალური პაკეტი - 416550 ლარით, ხოლო ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტი - 29880 ლარით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სოციალური პაკეტის მოცულობა გაიზარდა 13540 ლარით და საანგარიშო პერიოდისთვის 430090 ლარი შეადგინა (საოპერაციო თანხის გაზრდის ხარჯზე).

სოციალური პაკეტით მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა:

უმწეო კატეგორიაზე გახარჯული წყლის გადასახადი–სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული უმწეო ოჯახების სიების მიხედვით, სულზე დადგენილი ტარიფით, 1 სულზე 1,77 ლარის ოდენობით;

პროგრამულად ყოველ ახალშობილზე გაიცემა 100 ლარი, ხოლო ყოველ მე-3 და შემდგომ ახალშობილზე - 300 ლარი;

დიალიზზე მყოფ ავადმყოფებს ყოველთვიურად ერიცხებათ 100-100 ლარი, პირად ანგარიშზე;

ერთჯერად ფულად დახმარებებზე, სტიქიით დაზარალებულთა და ხანძრის შედეგად დაზიანებულთა, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლების შეკეთებაზე, ავადმყოფთა საოპერაციო დახმარებები გაიცემა, კომისიური განხილვის შედეგად საოქმო გადაწყვეტილებით;

სოციალური პროგრამით, ერთჯერადი ფულადი დახმარებისთვის გათვალისწინებული იყო 55000 ლარი. 9 თვის განმავლობაში განხილულია 1100 განცხადება. განცხადებების კომისიურად შესწავლის შედეგად, 422 მთხოვნელზე გაიცა 40310 ლარის ფულადი დახმარება;

საოპერაციო დახმარებებზე გამოყოფილი იყო 71000 ლარი, რომელიც როგორც აღვნიშნეთ გაიზარდა 106000 ლარამდე. შემოსული 131 განცხადებიდან, კომისიური განხილვის შედეგად დაკმაყოფილდა 128 განცხადება. 128 ბენეფიციარზე გაიცა 94519 ლარის საგარანტიო წერილი;

172 ახალშობილზე ჩაირიცხა 27000 ლარი;

75 მრავალშვილიან ოჯახს ჩაერიცხა 11250 ლარი;

უმწეოთა სასადილო, სადაც იკვებება დღეში 120-მდე ბენეფიციარი, დაფინანსდა 64000 ლარით;

100 წელს გადაცილებულ ორ ქალბატონს ჩაერიცხა 300-300 ლარი;

უმწეოთა კატეგორიის 80 ოჯახის წყლის ხარჯის დასაფინანსებლად გადაირიცხა 6536 ლარი;

სოციალურად დაუცველ 15 ოჯახს, ავარიული სახლების სარეაბილიტაციოდ 29600 ლარის დახმარება გაეწია;

დიალიზზე მყოფ 13 მოქალაქეს ტრანსპორტირებისთვის გადაერიცხა 9800 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 9 ბავშვზე გაიცა 4200 ლარის საგარანტიო წერილი;

აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახებზე (15 ოჯახი) გაიცა 200-200 ლარი;

8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებზე (9 ოჯახი) გაცემულია 200-200 ლარი;

ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილე 14 პირზე გაცემულია 100-100 ლარი;

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 15 ოჯახს გაეწია 20912 ლარის დახმარება;

მეორე მსოფლიო ომის ორ ვეტერანს, ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით ჩაერიცხათ 250-250 ლარი;

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 4000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 1766 კომპაქტურადაა ჩასახლებული, ხოლო 2234 - კერძო სექტორში ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებული პირები შეუზღუდავად სარგებლობენ სოციალური პროგრამით.



შუა ხორგა-ქარიატა-ყულევი. გზის რეაბილიტაცია

მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებებით ხორციელდება ჯანდაცვის დამატებითი ექიმამდელი დახმარების პროგრამა, რომელიც შემუშავებულია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროგრამით სახელმწიფო პროგრამის გარეშე დარჩენილ დასახლებებში მცხოვრებლებს ეწევათ საექიმო და ექიმამდელი დახმარება. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 5900-მდე პაციენტმა.

„C“ ჰეპატიტით ინფიცირებულთა პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი იყო 27500 ლარი. საანგარიშო პერიოდში 119 ინფიცირებულზე გაიცა 27400 ლარის საგარანტიო წერილი.

ადგილობრივ თვითმმართველობას, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობისა, სახელმწიფოს მხრიდან დელეგირებული აქვს სხვადასხვა უფლებამოსილება, რომელთა შორისაა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა და წვევამდელთა გაწვევის ორგანიზება. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, სამხედრო სამსახურისთვის მომზადება, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა წლების განმავლობაში წარმატებულად ხორციელდება.

2017 წლის იანვარ-აპრილში განხორციელდა 2000 წელს დაბადებულ იმ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, რომელთაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისას შეუსრულდათ 17 წელი.

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთხოვილ იქნა 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა სახელობითი სიები (ფორმა №1). პირველად სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვან 2000 წელს დაბადებულ ჭაბუკთა საერთო რაოდენობამ მოწოდებული ფორმა №1-ის მიხედვით შეადგინა 196. თითოეულ ჭაბუკზე შეიქმნა პირადი საქმე, სათანადო დოკუმენტაციის განთავსებით. პარალელურად შეიქმნა 2000 წელს დაბადებული ჭაბუკების პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის ანბანური წიგნი. სამართალდამცავი ორგანოებიდან და სამედიცინო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნა იმ ჭაბუკთა სახელობითი სია, რომლებიც იმყოფებიან აღრიცხვაზე.



ნოჯიხევი. გზის რეაბილიტაცია

2017 წელს 1 იანვრიდან 30 აპრილამდე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 188 ჭაბუკი. 2 ოქტომბრის მდგომარეობით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულია 47, ხოლო ვადიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულია 8 წვევამდელი. ზღვრული ასაკის შესრულების გამო მეორე თანრიგის რეზერვში ჩაირიცხა 86 წვევამდელი. კანონით დადგენილი შეღავათი გაუფორმდა 87 წვევამდელს. 2017 წლის 1 იანვრიდან 2 ოქტომბრამდე სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 89 რეზერვისტი. სხვადასხვა მიზეზების გამო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 329 რეზერვისტი. შინაგან საქმეთა სამმართველოდან და სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული მომართვების საფუძველზე სპეცაღრიცხვაზე გადაყვანილია 54 რეზერვისტი. ზღვრული ასაკის გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 259 რეზერვისტი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 და S-1 სამმართველოებიდან მიღებული მომართვების საფუძველზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვეულია 17 რეზერვისტი, აქედან 1 წვევამდელი. გაცემულია

7

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის ანგარიში

# „ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევის წინაშე დგას“

6 ←

## გოჩა ქაჯაია—ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

საქართველოს რეზერვისტის 91 დროებითი მოწმობა.

დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2016 წელს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე მუნიციპალიტეტისთვის დამატებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში გამგეობის მიერ წარმოებული საქმიანობა. მათ შორისაა სახელმწიფო პროექტის ხელშეწყობა მიწების რეგისტრაციის პროცესში. რომლის ფარგლებშიც გამორჩეული აქტივობებისა და საჯარო რეესტრთან საკუთარი მოსახლეობის ინტერესში თანამშრომლობის მაღალი ხარისხის გამო ხობის მუნიციპალიტეტი დასახელდა 6 მოწინავე მუნიციპალიტეტს შორის.

დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში გამგეობის მოსამსახურეები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი გამგებელთან არსებულ, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში, რაც გამოიხატება დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების აღიარებაში და მეტად შრომატევად და საპასუხისმგებლო სამუშაოს წარმოადგენს.

გამგეობის საქმიანობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამგეობის სამსახურებისა და მოსამსახურეთათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას და მის მუდმივ გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის განხორციელებული აქტივობებით. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ერთ-ერთი გამორჩეული დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფილია როგორც აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით, ასევე, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სიახლეების დანერგვით.

საპასუხისმგებლო ფუნქციას წარმოადგენს გამგეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომლის ფარგლებშიც გამგეობის სამსახურების მიერ მომზადებული სამართლებრივი დოკუმენტაცია სისტემატურად განიხილება და შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან. გამგეობის მიერ მომზადებული პროექტების უმეტესი ნაწილი წარედგინება საკრებულოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

გამგეობაში დანერგილია ავტომატიზებული ელექტრონული სისტემები: დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელთა მართვა და მათით სარგებლობა წარმატებით ხორციელდება.

გარდა გამგეობის მიერ განხორციელებული, ანგარიშში ჩამოთვლილი საქმიანობისა, აღმასრულებელი ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინირება და კონტროლი, რომლის ფარგლებშიც 2017 წლის განმავლობაში განსაკუთრებული მიდგომა იქნა გამოხატული. პერიოდულად მუშავდება წინადადებები მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შესაბამისი სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის მისაღები დადებითი შედეგების გაზრდისათვის.

2017 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული 5 იურიდიული პირი, მათ შორის 4 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო 1 - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

იურიდიული პირები შექმნილია მუნიციპალიტეტის საქმიანობის კოორდინირების მიზნით და მათ საქმიანობაში სისტემატური ჩართულობაა გამგეობის შესაბამისი სამსახურებიდან. 2016 წლის მიწურულს და 2017 წლის დასაწყისში მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ადგილობრივი თვითმმართველობის იურიდიული პირების შემდგომი ფუნქციონირების შესახებ და მართვის გაუმჯობესებისა და შესაბამის სფეროებში დადებითი ეფექტების მისაღწევად განხორციელდა ცალკეულ იურიდიულ პირთა შერწყმა და ახალი იურიდიული პირის დაფუძნება. საკითხის გადაწყვეტამდე, კი ერთიანი ძალისხმევით, მოწესრიგდა გასული ათწლეულის განმავლობაში ამ იურიდიული პირების სარეგისტრაციო მონაცემებში დაგროვილი ხარვეზები.

გარდა ზემოთ ხსენებული, იურიდიული პირების საქმიანობის კოორდინირების და კონტროლისა, გამგეობაში კონტროლი ხორციელდება სამსახურების მიერ წარმოებული საქმიანობის ფარგლებშიც. მიმდინარე წელს განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის 3 სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტორული შემოწმება. სისტემატურად ხორციელდება წინადადებების შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და გაუმჯობესებისთვის. ხორციელდება გაწეული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი. გარდა ამისა, სისტემატურად მიმდინარეობს გამგეობასა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში დისციპლინისა და კანონიერების დაცვის სამსახურეობრივი კონტროლი.



ანგარიშში აღწერილი გამგეობის საქმიანობა, დოკუმენტურად ფიქსირდება ამ საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტაციით, რომლის მოცულობა უკვე 1 ნოემბრისთვის შთამბეჭდავ სტატისტიკას მოიცავს, კერძოდ:

გამგეობის საქმისწარმოების პროცესში, მხოლოდ 2017 წლის 10 თვეში რეგისტრირებულია 14888 დოკუმენტი, რომელთა შორის: 7060 შემოსული კორესპონდენციაა, 1583 - შიდა კორესპონდენცია და 4976 გასული კორესპონდენცია. გამოცემულია ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 1269 ბრძანება, მათ შორის: პირადი შემადგენლობის შესახებ - 565 ბრძანება, საფინანსო საკითხების შესახებ–114, ქონების განკარგვის შესახებ– 14, სანებართვო პირობების შესახებ–75, სოციალური დახმარების შესახებ–395, სამხედრო ვალდებულებების შესახებ- 46, არაკლასიფიცირებული საკითხების შესახებ–60 ბრძანება.

გამგეობის საქმიანობის პროცესში ხშირია საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათის შეხვედრები და სატელეფონო საუბრები, ასევე ინფორმაციის მოთხოვნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან, საქართველოს იუსტიციისა და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებიდან, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციიდან, სხვადასხვა სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციიდან. მიღებული ინფორმაციები და გაწეული რეკომენდაციები ანალიზდება და გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად ყალიბდება ერთიანი აზრი სამომავლოდ გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე. განსაკუთრებული და მჭიდრო თანამშრომლობაა საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარ წევრთან, რომლის მხარდაჭერით და ინიციატივით არაერთი ღონისძიება განხორციელდა და სამომავლოდაც დაიგეგმა.

წინამდებარე ანგარიშით აშკარად ჩანს ის პოზიტიური შედეგები, რაც ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობით არის მიღწეული და ასევე აშკარად იკვეთება მცდელობა შემდგომი ეტაპებისთვის უკეთესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ უმეტესწილად ყურადღება გამახვილდა პოზიტიურ შედეგებზე, ეს არ გვაძლევს თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან საქმიანობის პროცესში ხშირია ასევე შეფერხებები და ნაკლოვანებები, რომელთა უმეტესობა ოპერატიულად გვარდება, თუმცა გარკვეული ნაწილი ანალიზს საჭიროებს სათანადო რეაგირების გზების შესამუშავებლად.

მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ფრიად მნიშვნელოვანია ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნდეს კომპეტენციების ფართო სპექტრი, რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დონეზე ოპერატიულად მოგვარდეს მათთვის აქტუალური საკითხები. ამის საშუალებას უკვე იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რომლის მიხედვითაც გარდა თვითმმართველობებისთვის 2015 წლამდე მინიჭებული უფლებამოსილებებისა, მათ გადაეცა ფუნქციები ისეთი სფეროების რეგულირებისა, როგორიცაა დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა.

დამეთანხმებით, ამ ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა და საზოგადოებასთან ერთად მრავალ მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით მოუწევს გადაწყვეტილებების მიღება და ამ გადაწყვეტილებების აღსასრულებლად ახლებურად მუშაობა.

განხორციელებული თითოეული საქმე დიდი შრომის შედეგად არის მიღწეული რომელშიც აქტიურად იყო და არის ჩართული საზოგადოების ფართო სპექტრი.

გაწეული საქმიანობისა და თანადგომისათვის მუნიციპალიტეტის სახელით მსურს მადლობა გამოვუცხადო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა სამსახურს, თოთოეულ მოსამსახურეს, გამგებლის თითოეულ წარმომადგენელს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთელს შემადგენლობას, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას, საქართველოს პარლამენტის წევრებს ხობის მუნიციპალიტეტიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციას, ბიზნესმენს, მეწარმეს და თითოეულ რიგით მოქალაქეს.

ჩვენი მიზანია მაქსიმალურად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ყველა რესურსი საზოგადოების შემდგომი განვითარებისთვის და ამ მიზნების განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშემწყობი გარემო შევქმნათ.

მადლობას გიხდით ყურადღებისთვის!

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

## განმარტებითი ბარათი

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 8157.7 ათასი ლარით. აქედან: გადასახადები 5800,0 ათასი ლარი, გრანტები 2010.0 ათასი ლარი (აქედან: 1800.0 ათასი ლარი–გათანაბრებითი ტრანსფერი, 210,0 ათასი ლარი–მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 347.7 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები განისაზღვრა 6887.7 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 1627.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1475.8 ათასი ლარი, პროცენტი 36.7 ათასი ლარი, სუბსიდიები 3229.6 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 466.1 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 52,1 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 1270,0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1066,6 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 1156,6 ათასი ლარი, კლება–90.0 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 203,4 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 8247,7 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები–8157,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 90.0 ათასი ლარით.

ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8247,7 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები–6887,7 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა–1156,6 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება–203,4 ათასი ლარით.

**დავით ჭოჭუა,**
**საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი**

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

2017 წლის ნოემბერი

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი თანდართული სახით.
2. დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებისთანავე.
3.ეს დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

**ედიშერ ჯობავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.**

## ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | 14,605-.3 | 11,924-.1 | 3,730.3 | 8,193.8 | 8,157.7 | 0.0 | 8,157.7 |
| გადასახადები | 7,889.4 | 7,600.0 | 0.0 | 7,600.0 | 5,800.0 | 0.0 | 5,800.0 |
| გრანტები | 6,079.5 | 3,940.3 | 3,730.3 | 210.0 | 2,010.0 | 0.0 | 2,010.0 |
| სხვა შემოსავლები | 636.4 | 383.8 | 0.0 | 383.8 | 347.7 | 0.0 | 347.7 |
| **ხარჯები** | 7,315.4 | 6,521.3 | 134.2 | 6,387.1 | 6,887.7 | 0.0 | 6,887.7 |
| **შრომის ანაზღაურება** | 2,109.5 | 1,657.3 | 0.0 | 1,657.3 | 1,627.4 | 0.0 | 1,627.4 |
| საქონელი და მომსახურება | 1,358.6 | 1,375.2 | 0.0 | 1,375.2 | 1,475.8 | 0.0 | 1,475.8 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 70.4 | 54.5 | 0.0 | 54.5 | 36.7 | 0.0 | 36.7 |
| სუბსიდიები | 2,828.3 | 2,868.9 | 134.2 | 2,734.7 | 3,229.6 | 0.0 | 3,229.6 |
| გრანტები | 373.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 421.4 | 454.5 | 0.0 | 454.5 | 466.1 | 0.0 | 466.1 |
| **ხარჯები** | 7,315.4 | 6,521.3 | 134.2 | 6,387.1 | 6,887.7 | 0.0 | 6,887.7 |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | 5,531.7 | 7,087.0 | 3,822.9 | 3,264.1 | 1,066.6 | 0.0 | 1,066.6 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | 14,605-.3 | 11,924-.1 | 3,730.3 | 8,193.8 | 8,157.7 | 0.0 | 8,157.7 |
| გადასახადები | 7,889.4 | 7,600.0 | 0.0 | 7,600.0 | 5,800.0 | 0.0 | 5,800.0 |
| გრანტები | 6,079.5 | 3,940.3 | 3,730.3 | 210.0 | 2,010.0 | 0.0 | 2,010.0 |
| სხვა შემოსავლები | 636.4 | 383.8 | 0.0 | 383.8 | 347.7 | 0.0 | 347.7 |
| **ხარჯები** | 7,315.4 | 6,521.3 | 134.2 | 6,387.1 | 6,887.7 | 0.0 | 6,887.7 |
| **შრომის ანაზღაურება** | 2,109.5 | 1,657.3 | 0.0 | 1,657.3 | 1,627.4 | 0.0 | 1,627.4 |
| საქონელი და მომსახურება | 1,358.6 | 1,375.2 | 0.0 | 1,375.2 | 1,475.8 | 0.0 | 1,475.8 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 70.4 | 54.5 | 0.0 | 54.5 | 36.7 | 0.0 | 36.7 |
| სუბსიდიები | 2,828.3 | 2,868.9 | 134.2 | 2,734.7 | 3,229.6 | 0.0 | 3,229.6 |
| გრანტები | 373.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 421.4 | 454.5 | 0.0 | 454.5 | 466.1 | 0.0 | 466.1 |
| **ხარჯები** | 7,315.4 | 6,521.3 | 134.2 | 6,387.1 | 6,887.7 | 0.0 | 6,887.7 |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | 5,531.7 | 7,087.0 | 3,822.9 | 3,264.1 | 1,066.6 | 0.0 | 1,066.6 |
| ზრდა | 5,953.9 | 7,137.0 | 3,822.9 | 3,314.1 | 1,156.6 | 0.0 | 1,156.6 |
| კლება | 422.2 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 90.0 | 0.0 | 90.0 |
| **მთლიანი სალდო** | 1,758.2 | -1,684-.2 | -226.8 | -1,457.4 | 203.4 | 0.0 | 203.4 |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | 1,623.3 | -1,912.-7 | -249.5 | -1,663.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ზრდა** | 1,873.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1,873.1 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | |
| ფასიანი ქაღალდები,გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | 249.8 | 1,912.7 | 249.5 | 1,663.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 249.8 | 1,912.7 | 249.5 | 1,663.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ფასიანი ქაღალდები,გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **ვალდებულებების ცვლილება** | -134.9 | -228.5 | -22.7 | -205.8 | -203.4 | 0.0 | -203.4 |
| **ზრდა** | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **კლება** | 134.9 | 228.5 | 22.7 | 205.8 | 203.4 | 0.0 | 203.4 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **საშინაო** | 134.9 | 228.5 | 22.7 | 205.8 | 203.4 | 0.0 | 203.4 |
| ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | | 15027-.5 | 11974-.1 | 3730.3 | 8243.8 | 8247.7 | 0.0 | 8247.7 |
| შემოსავლები | 1 | 14605.3 | 11924.1 | 3730.3 | 8193.8 | 8157.7 | | 8157.7 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 422.2 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 90.0 | 0.0 | 90.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით) | 32 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | | 13404-.2 | 13886-.8 | 3979.8 | 9907.0 | 8247.7 | 0.0 | 8247.7 |
| ხარჯები | 0.0 | 7315.4 | 6521.3 | 134.2 | 6387.1 | 6887.7 | | 6887.7 |
| **არაფინანსური აქტივების ზრდა** | | 5953.9 | 7137.0 | 3822.9 | 3314.1 | 1156.6 | | 1156.6 |
| ვალდებულებების კლება | | 134.9 | 228.5 | 22.7 | 205.8 | 203.4 | | 203.4 |
| ნაშთის ცვლილება | | 1623.3 | -1912-.7 | -249.5 | -1663.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

**მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8157.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | 14,605-.3 | 11,924-.1 | 3,730.3 | 8,193.8 | 8,157.7 | 0.0 | 8,157.7 |
| საშემოსავლო გადასახადი | 3,075.3 | 2,800.0 | 0.0 | 2,800.0 | 800.0 | 0.0 | 800.0 |
| ქონების გადასახადი | 4,814.1 | 4,800.0 | 0.0 | 4,800.0 | 5,000.0 | 0.0 | 5,000.0 |
| გრანტები | 6,079.5 | 3,940.3 | 3,730.3 | 210.0 | 2,010.0 | | 2,010.0 |
| **სხვა შემოსავლები** | 636.4 | 383.8 | | 383.8 | 347.7 | | 347.7 |

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

8

## მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5800.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გადასახადები** | **11** | **7,889.-4** | **7,600.0** | **0.0** | **7,600.0** | **5,800.0** | **0.0** | **5,800.0** |
| **საშემოსავლო გადასახადი** | | | | | **2,800.0** | | | **800.0** |
| **ქონების გადასახადი** | **113** | **4,814.1** | **4,800.0** | **0.0** | **4,800.0** | **5,000.0** | **0.0** | **5,000.0** |
| **საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)** | **113111** | **2,928.-4** | **2,933.0** | | **2,933.0** | **3,128.0** | | **3,128.0** |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 0.3 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | **2.0** |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0.0 | 2.0 | | 2.0 | 2.0 | | 2.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 0.3 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 300.7 | 280.0 | 0.0 | 280.0 | 290.0 | 0.0 | 290.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 108.6 | 95.0 | | 95.0 | 100.0 | | 100.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 192.1 | 185.0 | | 185.0 | 190.0 | | 190.0 |
| **არასასოფლო--სამეურნეო დანიშნულების მიწაზე** | **113115** | **1,584.-7** | **1,585.0** | **0.0** | **1,585.0** | **1,580.0** | **0.0** | **1,580.0** |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 48.5 | 35.0 | | 35.0 | 35.0 | | 35.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 1,536.2 | 1,550.0 | | 1,550.0 | 1,545.0 | | 1,545.0 |
| **სხვა გადასახადები ქონებაზე** | **1136** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **სხვა გადასახადები** | **116** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 2010.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 13 | 6,079.-5 | 3,940.3 | 3,730.3 | 210.0 | 2,010.0 | 0.0 | 2,010.0 |
| **საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** | **131** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **6,079.-5** | **3,940.3** | **3,730.3** | **210.0** | **2,010.0** | **0.0** | **2,010.0** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **1311** | **2,347.-7** | **210.0** | **0.0** | **210.0** | **2,010.0** | **0.0** | **2,010.0** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 2,127.7 | 0.0 | | | 1,800.0 | | 1,800.0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 220.0 | 210.0 | | 210.0 | 210.0 | | 210.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **1312** | **3,731.8** | **3,730.3** | **3,730.3** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ბ)-დან | | | | 134.2 | | | | |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 2,883.5 | 3,596.1 | 3,596.1 | | 0.0 | | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 848.3 | 0.0 | | | 0.0 | | |

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 347.7 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | კოდი | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **14** | **636.4** | **383.8** | **0.0** | **383.8** | **347.7** | **0.0** | **347.70** |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **141** | **392.3** | **190.0** | **0.0** | **190.0** | **170.0** | **0.0** | **170.0** |
| **პროცენტები** | **1411** | **141.4** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **დივიდენდები** | **1412** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| **რენტა** | **1415** | **250.9** | **190.0** | **0.0** | **190.0** | **170.0** | **0.0** | **170.0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | 199.3 | 160.0 | | 160.0 | 140.0 | | 140.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | 51.6 | 30.0 | | 30.0 | 30.0 | | 30.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 14159 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **142** | **79.3** | **73.8** | **0.0** | **73.8** | **77.7** | **0.0** | **77.7** |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 38.8 | 37.0 | 0.0 | 37.0 | 40.9 | 0.0 | 40.9 |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | 14222 | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 13.1 | 6.0 | | 6.0 | 9.9 | | 9.9 |
| **ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** | **142214** | **25.7** | **31.0** | | **31.0** | **31.0** | | **31.0** |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **1423** | **40.5** | **36.8** | **0.0** | **36.8** | **36.8** | **0.0** | **36.8** |
| **შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან** | **14231** | **0.0** | **0.0** | | | **0.0** | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | 40.5 | 36.8 | | 36.8 | 36.8 | | 36.8 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 134.3 | 120.0 | | 120.0 | 100.0 | | 100.0 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 144 | 5.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **145** | **25.5** | **0.0** | | | **0.0** | | |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6887.7 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ხარჯები** | **7,315.4** | **6,521.3** | **134.2** | **6,387.1** | **6,887.7** | **0.0** | **6,887.7** |
| შრომის ანაზღაურება | 2,109.5 | 1,657.3 | 0.0 | 1,657.3 | 1,627.4 | 0.0 | 1,627.4 |
| საქონელი და მომსახურება | 1,358.6 | 1,375.2 | 0.0 | 1,375.2 | 1,475.8 | 0.0 | 1,475.8 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტი | 70.4 | 54.5 | 0.0 | 54.5 | 36.7 | 0.0 | 36.7 |
| სუბსიდიები | 2,828.3 | 2,868.9 | 134.2 | 2,734.7 | 3,229.6 | 0.0 | 3,229.6 |
| გრანტები | 373.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 421.4 | 454.5 | 0.0 | 454.5 | 466.1 | 0.0 | 466.1 |
| სხვა ხარჯები | 153.3 | 110.9 | 0.0 | 110.9 | 52.1 | 0.0 | 52.1 |

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1156.6 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 5, 953. 9 | 7,137.0 | 1,156.6 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 90.0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა | 2018 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 422.2 | 50.0 | 90.0 |
| ძირითადი აქტივები | 325.2 | | 0.0 |
| მატერიალური მარაგები | 20.7 | 0.0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 76.3 | 50.0 | 90.0 |
| მიწა | 76.3 | 50.0 | 90.0 |

## მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **2,677.2** | **2,598.2** | **0.0** | **2,598.2** | **2,845.9** | **0.0** | **2,845.9** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა,ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,606.8 | 2,543.7 | 0.0 | 2,543.7 | 2,809.2 | 0.0 | 2,809.2 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,606.8 | 2,488.7 | 0.0 | 2,488.7 | 2,709.2 | 0.0 | 2,709.2 |
| 7011-2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 70.4 | 54.5 | 0.0 | 54.5 | 36.7 | 0.0 | 36.7 |
| **702** | **თავდაცვა** | **123.9** | **119.4** | **0.0** | **119.4** | **123.1** | **0.0** | **123.1** |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 4,702.5 | 5,889.0 | 2,993.0 | 2,896.0 | 1,320.6 | 0.0 | 1,320.6 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 1,819.4 | 1,071.7 | 1,004.8 | 66.9 | 56.0 | 0.0 | 56.0 |
| 704-21 | სოფლის მეურნეობა | 1,819.4 | 1,071.7 | 1,004.8 | 66.9 | 56.0 | 0.0 | 56.0 |
| 704-43 | მშენებლობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 2,768.4 | 2,730.4 | 1,988.2 | 742.2 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 704-51 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2,768.4 | 2,730.4 | 1,988.2 | 742.2 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 114.7 | 2,086.9 | 0.0 | 2,086.9 | 1,064.6 | 0.0 | 1,064.6 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **306.9** | **598.6** | **137.1** | **461.5** | **425.8** | **0.0** | **425.8** |

10

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

9

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 306.9 | 484.2 | 134.2 | 350.0 | 425.8 | 0.0 | | 425.8 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 0.0 | 114.4 | 2.9 | 111.5 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **2,344.2** | **1,841.8** | **827.0** | **1,014.8** | **320.7** | **0.0** | | **320.7** |
| 7063 | წყალმომარაგება | 574.6 | 391.8 | 307.7 | 84.1 | 44.0 | 0.0 | | 44.0 |
| 7064 | გარე განათება | 239.2 | 252.5 | 0.0 | 252.5 | 276.7 | 0.0 | | 276.7 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1,530.4 | 1,197.5 | 519.3 | 678.2 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| **707** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **130.1** | **143.2** | **0.0** | **143.2** | **150.5** | **0.0** | | **150.5** |
| 7072 | ამბულატორიული მომსახურება | 29.9 | 36.2 | 0.0 | 36.2 | 36.2 | 0.0 | | 36.2 |
| 707-24 | საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება | 29.9 | 36.2 | 0.0 | 36.2 | 36.2 | 0.0 | | 36.2 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 100.2 | 107.0 | 0.0 | 107.0 | 114.3 | 0.0 | | 114.3 |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **1,089.7** | **987.7** | **0.0** | **987.7** | **1,123.4** | **0.0** | | **1,123.4** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 527.3 | 141.1 | 0.0 | 141.1 | 175.7 | 0.0 | | 175.7 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 508.4 | 52.8 | 0.0 | 52.8 | 19.0 | 0.0 | | 19.0 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 45.3 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 8.7 | 789.5 | 0.0 | 789.5 | 928.7 | 0.0 | | 928.7 |
| **709** | **განათლება** | **1,556.5** | **1,091.8** | **0.0** | **1,091.8** | **1,344.4** | **0.0** | | **1,344.4** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 1,147.4 | 1,058.0 | 0.0 | 1,058.0 | 1,344.4 | 0.0 | | 1,344.4 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 3.6 | 1.6 | 0.0 | 1.6 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| 709-23 | საშუალო ზოგადი განათლება | 3.6 | 1.6 | 0.0 | 1.6 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| 7093 | პროფესიული განათლება | 8.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 397.1 | 32.2 | 0.0 | 32.2 | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **338.3** | **388.6** | **0.0** | **388.6** | **389.9** | **0.0** | | **389.9** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 131.6 | 155.0 | 0.0 | 155.0 | 140.0 | 0.0 | | 140.0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 131.6 | 155.0 | 0.0 | 155.0 | 140.0 | 0.0 | | 140.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 109.2 | 118.4 | 0.0 | 118.4 | 118.2 | 0.0 | | 118.2 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 53.5 | 64.0 | 0.0 | 64.0 | 80.0 | 0.0 | | 80.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 44.0 | 51.2 | 0.0 | 51.2 | 51.7 | 0.0 | | 51.7 |
| | **სულ** | **13,269-.3** | **13,658-.3** | **3,957.1** | **9,701.2** | **8,044.3** | **0.0** | | **8,044.3** |

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 203.4 ათასი ლარით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 -ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 -ით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 203.4 ათასი ლარით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 210.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 97.4 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 109.1 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 3,5 ათასი ლარი;

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## თავი II

**ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)**

თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

**1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა–შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

**2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01)**

**2.1.1 გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. პერსპექტივაში ამ მიმართულებით გაგრძელდება ასიგნებების გამოყოფა.

**2.1.2 ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02)**

ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია. სათანადო რესურსების შემთხვევაში ამ კუთხით ასიგნებები კვლავ გამოიყოფა.

**2.2 კომუნალური ინფრასრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)**

**2.2.1 გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს გარე განათების მოვლა-შენახვის ღონისძიებების გახორციელებას,;

**2.2.2 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

მომავალ წლებში გათვალისწინებულ იქნება სოფლების წყალმომარაგების პრობლემების მნიშვნელოვანწილად გადაჭრა. მიღწეულ უნდა იქნეს 24 საათიანი წყალმომარაგება სოფლებში.

**2.2.3 მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 02 03)**

ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია ასიგნებების მიმართვა ქალაქის მთავარ ქუჩებზე ტროტუარების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის. კვლავ გრძელდება საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია.

**2.2.4 სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)**

რეგიონის ჭარბნალექიანობიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის საკითხებს.

**2.2.5 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 05)**

შპს „ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას, გააჩნია შესაბამისი ტექნიკა.

**2.3 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04)**

მუნიციპალიტეტისათვის ამ მეტად პრობლემური საკითხის გადაწყვეტაში საჭირო იქნება ცენტრალური ბიუჯეტიდან სათანადო სახსრების გამოყოფა. პერსპექტივაში გათვალისწინებულ იქნება განსაკუთრებით კრიტიკულ ადგილებში ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება.

**3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გახსნა და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

**3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 25 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1092-მდე ბავშვი. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე, მათ რეაბილიტაციაზე და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის განახლებაზე.

**4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის მეშვეობით ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, წარმატებული სპოტსმენების წახალისებას, ნიჭიერ ბავშვებს და ახალგაზრდებს მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება. იზრდება ჩატარებილი კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ახალგაზრდობის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათ-

11

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

10

ვის.

**4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

**4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირების ჩატარება, სპორტში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

**4.1.2 ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)**

ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთი"–ს სუბსიდირება, უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის პოპულარიზაციას და გუნდის მომზადებას საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

**4.1.3 სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქსა და სოფლებში არსებული მარტივი ტიპის მოედნების ექპლოატაცია და რეაბილიტაცია.

**4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

**4.2.1 ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისათვის, წარმოებს გამოფენების ორგანიზება.

**4.2.2 კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ტარდება ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით ადგილობრივი ფოლკლორის, ხალხური ტრადიციების გამოვლენისა და პოპულარიზაციის მიზნით კონკურსები, გათვალისწინებულია მოეწყოს მეგრული ფოლკლორისა და რეწვის საღამო. სსიპ „ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს" გამოეყო გრანტი 12,0 ათასი ლარი, რითაც იქმნება სალოტბარო სკოლა, ხელი შეეწყობა ქართული სიმღერებისა და საგალობლების შესწავლას და შენარჩუნებას.

**4.3 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

**4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

**4.5 კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 05)**

ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი"-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ცენტრი ასევე ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან. აქ ფუნქციონირებს სამუსიკო სკოლა, კომპიუტერის შემსწავლელი ცენტრი, სხვადასხვა სპორტული სექციები (ჭიდაობის, კრივის, რაგბის, ჭადრაკის, კარატესა და მკლავჭიდის) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

**5. მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელსეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადსხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

**5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება\ ეპიდსაწიინაღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა\ დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა ( იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგებადადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიტოების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში; (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის" ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში.

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო, სააღმზრდელო საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებსი სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

**5.2 ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)**

მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე. ამ მიზნით 2015 წელს გამოიყოფა ყოველწლიურად 36,2 ათასი ლარი.

**5.3 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

**5.3.1 ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსება, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად, ასევე სატრანსპორტო ხარჯების დასაფარავად დახმარება ეძლევა დიალეზით დაავადებულებს, ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

**5.3.2 სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომის ვეტერანთა და დევნილთა დაღუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

**5.3.3 ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) (პროგრამული კოდი 06 03 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე, ასევე ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულთა დახმარება.

**5.3.4 მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად..

**5.3.5 უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება უმწეოთა კვების ხარჯების დაფინანსება და გამოყოფილია 80,0 ათასი ლარი 120 ბენეფიციარის მომსახურებაზე.

**5.3.6 ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სულ 50.0 ათასი ლარი, ერთ ბავშვის შეძენისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი, ხოლო მესამე და ზევით 300 ლარი..

**5.3.7 უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა, გამოყოფილია 9.0 ათასი ლარი.

**5.4 უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად 50-200 ლარის ფარგლებში, 2016 წელს გამოყოფილია 55.0 ათასი ლარი, განკარგვა ხდება მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**5.5 ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად, მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

**5.6 მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება, უკიდურესად ავარიული სახლების შესაკეთებლად, გაიცემა ერთჯერადად 500-დან 3000 ლარამდე საკრებულოზე დამტკიცებული წესის შესაბამისად.

შემსრულებელი

**დ. ჭოჭუა**

12

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

11

## თავი III

### ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

**მუხლი 17. ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2016 წლის ფაქტი | 2017 წლის გეგმა: სულ | 2017 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2017 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | 2018 წლის გეგმა: სულ | 2018 მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 2018 მათ შორის: საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ხობის მუნიციპალიტეტი** | **13,404.2** | **13,886.8** | **3,979.8** | **9,907.0** | **8,247.7** | **0.0** | **8,247.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 162.0 | 137.0 | 0.0 | 137.0 | 138.0 | 0.0 | 138.0 |
| | ხარჯები | 7,315.4 | 6,521.3 | 134.2 | 6,387.1 | 6,887.7 | 0.0 | 6,887.7 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,109.5 | 1,657.3 | 0.0 | 1,657.3 | 1,627.4 | 0.0 | 1,627.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,953.9 | 7,137.0 | 3,822.9 | 3,314.1 | 1,156.6 | 0.0 | 1,156.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 134.9 | 228.5 | 22.7 | 205.8 | 203.4 | 0.0 | 203.4 |
| 01 00 | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **2,812.1** | **2,799.6** | **0.0** | **2,799.6** | **3,049.3** | **0.0** | **3,049.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 154.0 | 128.0 | 0.0 | 128.0 | 129.0 | 0.0 | 129.0 |
| | ხარჯები | 2,655.3 | 2,584.0 | 0.0 | 2,584.0 | 2,754.6 | 0.0 | 2,754.6 |
| | შრომის ანაზღაურება | 2,020.1 | 1,571.5 | 0.0 | 1,571.5 | 1,541.5 | 0.0 | 1,541.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 21.9 | 14.2 | 0.0 | 14.2 | 91.3 | 0.0 | 91.3 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 134.9 | 201.4 | 0.0 | 201.4 | 203.4 | 0.0 | 203.4 |
| 01 01 | **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **637.8** | **654.4** | **0.0** | **654.4** | **689.2** | **0.0** | **689.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 27.0 | 25.0 | | 25.0 | 25.0 | | 25.0 |
| | ხარჯები | 635.7 | 640.0 | 0.0 | 640.0 | 671.9 | 0.0 | 671.9 |
| | შრომის ანაზღაურება | 469.2 | 399.5 | 0.0 | 399.5 | 421.8 | 0.0 | 421.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.0 | 3.6 | 0.0 | 3.6 | 17.3 | 0.0 | 17.3 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.1 | 10.8 | 0.0 | 10.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 02 | **ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა** | **1,969.1** | **1,850.6** | **0.0** | **1,850.6** | **2,020.0** | **0.0** | **2,020.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 127.0 | 103.0 | | 103.0 | 104.0 | | 104.0 |
| | ხარჯები | 1,949.2 | 1,834.5 | 0.0 | 1,834.5 | 1,946.0 | 0.0 | 1,946.0 |
| | შრომის ანაზღაურება | 1,550.9 | 1,172.0 | 0.0 | 1,172.0 | 1,119.7 | 0.0 | 1,119.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 19.9 | 10.6 | 0.0 | 10.6 | 74.0 | 0.0 | 74.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 5.5 | 0.0 | 5.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 03 | **სარეზერვო ფონდი** | **0.0** | **55.0** | **0.0** | **55.0** | **100.0** | **0.0** | **100.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 05 | **წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის ფონდი** | **205.2** | **239.6** | **0.0** | **239.6** | **240.1** | **0.0** | **240.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 70.4 | 54.5 | 0.0 | 54.5 | 36.7 | 0.0 | 36.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 134.8 | 185.1 | 0.0 | 185.1 | 203.4 | 0.0 | 203.4 |
| 02 00 | **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **123.9** | **119.7** | **0.0** | **119.7** | **123.1** | **0.0** | **123.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | ხარჯები | 122.9 | 119.4 | 0.0 | 119.4 | 122.4 | 0.0 | 122.4 |
| | შრომის ანაზღაურება | 89.4 | 85.8 | 0.0 | 85.8 | 85.9 | 0.0 | 85.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 03 | **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა** | **123.9** | **119.7** | **0.0** | **119.7** | **123.1** | **0.0** | **123.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8.0 | 9.0 | | 9.0 | 9.0 | | 9.0 |
| | ხარჯები | 122.9 | 119.4 | 0.0 | 119.4 | 122.4 | 0.0 | 122.4 |
| | შრომის ანაზღაურება | 89.4 | 85.8 | 0.0 | 85.8 | 85.9 | 0.0 | 85.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.7 | 0.0 | 0.7 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **7,312.6** | **8,304.6** | **3,979.8** | **4,324.8** | **2,011.1** | **0.0** | **2,011.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,381.6 | 1,156.4 | 134.2 | 1,022.2 | 946.5 | 0.0 | 946.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,931.0 | 7,122.8 | 3,822.9 | 3,299.9 | 1,064.6 | 0.0 | 1,064.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 25.4 | 22.7 | 2.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)** | **2,768.4** | **2,753.1** | **2,010.9** | **742.2** | **200.0** | **0.0** | **200.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 76.2 | 238.4 | 0.0 | 238.4 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,692.2 | 2,492.0 | 1,988.2 | 503.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 22.7 | 22.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 01 | **გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **2,553.6** | **2,273.7** | **1,540.6** | **733.1** | **200.0** | **0.0** | **200.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 76.2 | 238.4 | 0.0 | 238.4 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2,477.4 | 2,012.6 | 1,517.9 | 494.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 22.7 | 22.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 02 | **ხიდების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **214.8** | **479.4** | **470.3** | **9.1** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 214.8 | 479.4 | 470.3 | 9.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 | **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **2,651.1** | **2,443.1** | **964.1** | **1,479.0** | **746.5** | **0.0** | **746.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 775.0 | 918.0 | 134.2 | 783.8 | 746.5 | 0.0 | 746.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,876.1 | 1,522.4 | 829.9 | 692.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 2.7 | 0.0 | 2.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 01 | **გარე განათება** | **239.2** | **252.5** | **0.0** | **252.5** | **276.7** | **0.0** | **276.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 239.2 | 252.5 | 0.0 | 252.5 | 276.7 | 0.0 | 276.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 02 | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **574.6** | **394.5** | **307.7** | **86.8** | **44.0** | **0.0** | **44.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 21.0 | 39.0 | 0.0 | 39.0 | 44.0 | 0.0 | 44.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 553.6 | 352.8 | 307.7 | 45.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 2.7 | 0.0 | 2.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 03 | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია** | **1,530.4** | **1,197.5** | **519.3** | **678.2** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 207.9 | 42.0 | 0.0 | 42.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,322.5 | 1,155.5 | 519.3 | 636.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 04 | **სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **0.0** | **114.4** | **2.9** | **111.5** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 100.3 | 0.0 | 100.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 14.1 | 2.9 | 11.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 05 | **დასუფთავების ღონისძიებები** | **306.9** | **484.2** | **134.2** | **350.0** | **425.8** | **0.0** | **425.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 306.9 | 484.2 | 134.2 | 350.0 | 425.8 | 0.0 | 425.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 04 | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **855.3** | **21.5** | **21.5** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 530.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 324.9 | 21.5 | 21.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 05 | **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | **923.1** | **1,000.0** | **983.3** | **16.7** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 923.1 | 1,000.0 | 983.3 | 16.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 06 | **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | **114.7** | **2,086.9** | **0.0** | **2,086.9** | **1,064.6** | **0.0** | **1,064.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 114.7 | 2,086.9 | 0.0 | 2,086.9 | 1,064.6 | 0.0 | 1,064.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 00 | **განათლება** | **1,556.5** | **1,091.8** | **0.0** | **1,091.8** | **1,344.4** | **0.0** | **1,344.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,556.5 | 1,091.8 | 0.0 | 1,091.8 | 1,344.4 | 0.0 | 1,344.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 01 | **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** | **1,147.4** | **1,058.0** | **0.0** | **1,058.0** | **1,344.4** | **0.0** | **1,344.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 1,147.4 | 1,058.0 | 0.0 | 1,058.0 | 1,344.4 | 0.0 | 1,344.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 04 05 | **საჯარო სკოლების დაფინანსება** | **3.6** | **1.6** | **0.0** | **1.6** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 3.6 | 1.6 | 0.0 | 1.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

13

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

12

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **04 02** | **მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა** | **397.1** | **32.2** | **0.0** | **32.2** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 397.1 | 32.2 | 0.0 | 32.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 04** | **პროფესიული განათლება** | **8.4** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 8.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 00** | **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **1,089.7** | **988.8** | **0.0** | **988.8** | **1,123.4** | **0.0** | **1,123.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,089.7 | 987.7 | 0.0 | 987.7 | 1,123.4 | 0.0 | 1,123.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 1.1 | 0.0 | 1.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **527.3** | **141.1** | **0.0** | **141.1** | **175.7** | **0.0** | **175.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 527.3 | 141.1 | 0.0 | 141.1 | 175.7 | 0.0 | 175.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 01** | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | **14.3** | **5.0** | **0.0** | **5.0** | **7.0** | **0.0** | **7.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 14.3 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 02** | **ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები** | **136.7** | **119.1** | **0.0** | **119.1** | **150.7** | **0.0** | **150.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 136.7 | 119.1 | 0.0 | 119.1 | 150.7 | 0.0 | 150.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 03** | **სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები** | **14.4** | **17.0** | **0.0** | **17.0** | **18.0** | **0.0** | **18.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 14.4 | 17.0 | 0.0 | 17.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 04** | **ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 05** | **ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობა** | **361.9** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 361.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 02** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **553.7** | **57.1** | **0.0** | **57.1** | **19.0** | **0.0** | **19.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 553.7 | 57.1 | 0.0 | 57.1 | 19.0 | 0.0 | 19.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 02 01** | **კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული განვითარების ხელშეწყობა** | **447.1** | **34.8** | **0.0** | **34.8** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 447.1 | 34.8 | 0.0 | 34.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 02 02** | **ძეგლთა დაცვის ხარჯები** | **49.3** | **15.0** | **0.0** | **15.0** | **15.0** | **0.0** | **15.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 49.3 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 02 03** | **კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება** | **12.0** | **3.0** | **0.0** | **3.0** | **4.0** | **0.0** | **4.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 12.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 4.0 | 0.0 | 4.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 02 04** | **ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა** | **45.3** | **4.3** | **0.0** | **4.3** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 45.3 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 03** | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **3.1** | **7.8** | **0.0** | **7.8** | **5.0** | **0.0** | **5.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 3.1 | 6.7 | 0.0 | 6.7 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 1.1 | 0.0 | 1.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 04** | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **5.6** | **6.0** | **0.0** | **6.0** | **6.0** | **0.0** | **6.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 5.6 | 6.0 | 0.0 | 6.0 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **05 05** | **კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა** | **0.0** | **776.8** | **0.0** | **776.8** | **917.7** | **0.0** | **917.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 776.8 | 0.0 | 776.8 | 917.7 | 0.0 | 917.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 00** | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **509.4** | **582.3** | **0.0** | **582.3** | **596.4** | **0.0** | **596.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 509.4 | 582.0 | 0.0 | 582.0 | 596.4 | 0.0 | 596.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 01** | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **100.2** | **107.0** | **0.0** | **107.0** | **114.3** | **0.0** | **114.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 100.2 | 107.0 | 0.0 | 107.0 | 114.3 | 0.0 | 114.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 02** | **ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა** | **29.9** | **36.2** | **0.0** | **36.2** | **36.2** | **0.0** | **36.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 29.9 | 36.2 | 0.0 | 36.2 | 36.2 | 0.0 | 36.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03** | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **257.7** | **303.7** | **0.0** | **303.7** | **304.9** | **0.0** | **304.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 257.7 | 303.6 | 0.0 | 303.6 | 304.9 | 0.0 | 304.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03 01** | **ავადმყოფთა სოციალური დახმარება** | **131.6** | **155.0** | **0.0** | **155.0** | **140.0** | **0.0** | **140.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 131.6 | 155.0 | 0.0 | 155.0 | 140.0 | 0.0 | 140.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03 02** | **სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)** | **3.2** | **3.0** | **0.0** | **3.0** | **3.5** | **0.0** | **3.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 3.2 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.5 | 0.0 | 3.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

14

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (პროექტი)

13

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **06 03 03** | **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები** | **6.9** | **9.2** | **0.0** | **9.2** | **9.2** | **0.0** | **9.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 6.9 | 9.2 | 0.0 | 9.2 | 9.2 | 0.0 | 9.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03 04** | **მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედმამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **10.6** | **13.4** | **0.0** | **13.4** | **13.2** | **0.0** | **13.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 10.6 | 13.4 | 0.0 | 13.4 | 13.2 | 0.0 | 13.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03 05** | **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება** | **53.5** | **64.0** | **0.0** | **64.0** | **80.0** | **0.0** | **80.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 53.5 | 64.0 | 0.0 | 64.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03 06** | **ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **44.8** | **50.1** | **0.0** | **50.1** | **50.0** | **0.0** | **50.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 44.8 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03 07** | **უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება** | **7.1** | **9.0** | **0.0** | **9.0** | **9.0** | **0.0** | **9.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 7.1 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 9.0 | 0.0 | 9.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 04** | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **53.8** | **55.2** | **0.0** | **55.2** | **55.0** | **0.0** | **55.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 53.8 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 05** | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **26.8** | **30.0** | **0.0** | **30.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 26.8 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 06** | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **41.0** | **50.2** | **0.0** | **50.2** | **56.0** | **0.0** | **56.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 41.0 | 50.2 | 0.0 | 50.2 | 56.0 | 0.0 | 56.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

# ვირუსული ჰეპატიტი— აქტუალური პრობლემა

ვირუსული ჰეპატიტების პრობლემა უწინდებურად აქტუალურია: ისინი ორ დიდ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი აერთიანებს იმ დაავადებებს, რომლებიც ვრცელდება ფეკალურ-ორალური გზით ანუ, სადაც დასნებოვნების მიზეზია დაბინძურებული საკვები, ხელები, ესა თუ ის ნივთი, რომელიც პირის ღრუში შეიძლება მოხვდეს. აღნიშნული ჯგუფი A და E ჰეპატიტებს მოიცავს.

მეორე ჯგუფი აერთიანებს ჰეპატიტებს, რომელთა გავრცელებაში ძირითად როლს გადაცემის პარენტერალური მექანიზმი (კუჭ-ნაწლავის გარეშე) ასრულებს. ამ შემთხვევაში დასნებოვნება კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანებისა და მათზე ვირუსის შემცველი ნებისმიერი ბიოლოგიური სითხის მოხვედრის შედეგად ხდება. ამ ჯგუფში შედის C, B და D ჰეპატიტები. ყველაზე პრობლემური სწორედ მეორე ჯგუფია. პირველი ჯგუფის ჰეპატიტები გაცილებით კეთილთვისებიანად მიმდინარეობს და ადვილად იკურნება. B ჰეპატიტის ვირუსი უფრო ხშირად გადაეცემა სქესობრივი გზით, ვიდრე C ჰეპატიტის, რომელიც უფრო ხშირად გადაეცემა არასტერილური სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ჩარევის შედეგად.




B ჰეპატიტის გავრცელების შემცირების მიზნით ჩვენი ქვეყნის მასშტაბით ჩვილ ბავშვთა ასაკში ტარდება გეგმიური ვაქცინაცია, რაც შეეხება C ჰეპატიტის უფასო ეკრინინგული კვლევები, ასევე უფასო არის გამოვლენილი ავადმყოფების მკურნალობაც.

C ჰეპატიტი ქრონიკულად მიმდინარე პროგრესირებადი დაავადებაა. მას იწვევს რნმ ვირუსი, რომელიც უპირატესად აზიანებს ღვიძლს. ინფექციის წყაროს წარმოადგენს მწვავე და ქრონიკული C ჰეპატიტით დაავადებული ადამიანი. ვირუსი გადაეცემა სისხლით და სისხლის პროდუქტებით, ზოგჯერ სქესობრივი გზითაც.

ადამიანი ინფიცირდება:

–დაინფიცირებული ნემსის ჩხვლეტისას;

–საერთო სამართებლის, სისხლით დაბინძურებული ბამბის გამოყენებისას;

–პირსინგის დროს;

–სისხლიანი ღრძილების მქონე ადამიანის კბილის ჯაგრისის ხმარებისას.

–დაბინძურებული სააბაზანო აქსესუარების ხმარებისას;

–სქესობრივი კონტაქტისას, რომელსაც თან სდევს სისხლდენა.

C ჰეპატიტის გადაცემის გზებიდან გამომდინარე, ყველაზე ხშირად ავადდებიან.

–ინტრავენური ნარკომანები და მათი სქესობრივი პარტნიორები.

–შეუმოწმებელი სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმის შემთხვევაში.

–ცუდად გასტერილებული სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური და სხვა სამედიცინო ინსტრუმენტებით მანიპულაციების დროს.

–აკუპუნქტურის, მანიკურის, ტატუირების დროს თუ ინსტრუმენტები დაბინძურებულია.

C ჰეპატიტს არ იწვევს კოღოს ნაკბენი, რადგან მწერის სხეულში ვირუსის ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა ეტევა, არ გადაეცემა ხველებით, დაცემინებით, ჭუჭყით, საკვებითა და წყლით. დაავადება არ გადადის საერთო პირსახოცით, კოცნით.

C ჰეპატიტის საინკუბაციო პერიოდი 20–80 დღეა. მას ახასიათებს როგორც მწვავე, ასევე ქრონიკული მიმდინარეობა. კლინიკური სიმპტომებია, საერთო სისუსტე, დისკომფორტი მარჯვენა ფერდქვეშა მიდამოში, ღვიძლის ქსოვილის ანთება, კანისა და ლორწოვანის გაყვითლება, დაღლილობის შეგრძნება, ცხელება და ოფლიანობა, გულისრევა, ზოგჯერ ღებინება, ტკივილი მუცლის არეში, უმადობა, ცხიმიანი საკვების შეძულება, ქავილი, წონაში დაკლება, სისხლჩაქცევები, გონების დაბინდვა, სახსრების ანთება, არასრულფასოვანი ძილი.

C ჰეპატიტის საბოლოო დიაგნოსტიკა და დადასტურება კი ლაბორატორიული მონაცემებით ხდება.

C ჰეპატიტის სიმპტომები სუსტად ვლინდება ახალშობილებსა და ბავშვებში. რაც უფრო ხანდაზმულია C ვირუსით დაინფიცირებული ადამიანი, დაავადება მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს და მკურნალობაც ნაკლებად ეფექტურია. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს პერიოდულად თითოეულმა ადამიანმა ჩაიტაროს C ჰეპატიტზე ლაბორატორიული გამოკვლევები.

C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევები და გამოვლენილი ავადმყოფობების მკურნალობა არის უფასო სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. განვლილ პერიოდში ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ C ჰეპატიტზე გამოკვლეულია 500-მდე ბენეფიციარი, ასევე გამოკვლევებს ატარებს თორსის და პირველი მაისის საექიმო ამბულატორიები. აღნიშნულის გარდა ს.ს.ი.პ.ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონალური მართვის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის განყოფილება შერჩევით აწარმოებს მთლიანად რეგიონის და მათ შორის, ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევების ჩატარება ნებისმიერ დროს შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოგვმართოს და ჩაიტაროს გამოკვლევა მისამართზე ქ. ხობი კოსტავას ქ. №3.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი პროფილაქტიკოსი.***

## სუღთათანა

## ეზოპე სიჭინავას ხსოვნას



მოშურნენი ამა სოფლისანი ზეიმობდნენ, მკვლელებს აჯილდოებდნენ.

...სამშობლოსთვის გულანთებული ვაჟკაცი სიკვდილს ებრძოდა. ოთახში გამოკეტილს ესროლეს, შიშველს, უიარაღოს. ტრაგედიამ შესძრა საერისკაცო საზოგადოება.

ატკივდა დედას ძუძუები, აკივლდა. ტკივილმა გადაუარა მშობლიურ ლესიჭინეს. აბობოქრებულ მდინარეში გადაეშვა პირგამეხებული. კივილით მიიკვლევდა გზას გათოშილი.

სოფელი კვალში ჩაუდგა უბედურს. ბოკვერწართმეულ ძუ ვეფხვივით აყრუებდა არემარეს. ორმოცი კილომეტრი ირბინა თავისი ცხოვრების საშინელ მარათონზე.

ხობის შემოგარენთან წამოეწიენ ჯვარცმულს, მაგრამ დახეთ უზნეობის უსაზღვროებას!? დედა შვილთან არ მიუშვეს, (როცა ქრისტე ჯვარს აცვეს, მარიამ ღვთისმშობელი შორიახლოდან შეჰყურებდა და ჩვენთვის დამახასიათებელი რიტუალებით განიცდიდა მწუხარებას!) გზა გადაულობეს. შეურჩებია ვინმეს ოდეს დედის გული შვილთან განსაცდელის პირისპირ!? მარტომ გაარღვია ჯოჯოხეთური რკალი, შვილისკენ გაიჭრა ბოლომდე გასული. სოფელში დატირების უფლება არ მისცეს. მალულად დამარხეს ავაზაკივით!

სადაა სამართალი!? მისი უმანკო სისხლი სამართალს ითხოვს დღესაც! რატომ ღმერთო!? ამდენ ცოდვას სად წაიღებთ ურჯულოებო!? მოახლოებულია თქვენი განკითხვის დღე! ფაშისტები არ ესროდნენ თეთრხალათიანებს!

იმ ტყვიამ ყველა ღვთისნიერს გაუარა გულისგულში.

მას სამშობლოს სიყვარული, ეროვნულობა არ აპატიეს! რომელიც სიკვდილის საფასურით შეისყიდა!

ეზოპედ ფრიად განსწავლულობის გამო უხმობდნენ. ხალხის საყვარელი ექიმი დარბეულ მიტინგზე ალალმართალი იუმორით მკურნალობდა დამშეულთ. ბავშვივით გულუბრყვილო, უბრალო, თავმდაბალი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი.

სხვა რაღაა მისი სახელი, თუ არა უკვდავება!

მის ხსოვნას ძეგლი უნდა დავუდგათ.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი უკვდავი სული.

***ბადრი ლომაია.***

## ნიკა (ნიკუშა) ლატარია



ჩვენო უტკბესო და მონატრებულო შვილო, ნიკა! გაუსაძლისია ჩვენი ცხოვრება, მაგრამ მაინც ვარსებობთ, დედი, შენთვის, შენი საფლავისთვის. ვალამაზებთ ისე, რომ შენ მოგეწონოს. სულ შენთან სიახლოვეს ვართ, რომ იქ ყოფნა გაგიადვილოთ და თავი ვინუგეშოთ.

შვილო, შენ ჩვენი დიდი იმედი იყავი, ჩვენი ჭკვიანი და საყვარელი ბიჭი. რისთვის დედი, რატომ ასეთი დიდი შეცდომა, რატომ მოგივიდა ჩვენო გამორჩეულო ბიჭო. ძალიან, ძალიან გვტკივა უშენობა და განა მარტო ჩვენ, ყველას, ყველას ენანები–ახლობლებს, მეზობლებს, შენს საუკეთესო მეგობრებს, ნაცნობებს, ყველანი სწუხან...

ნიკა, შენ ძალიან ბევრი რამის და ბედნიერი მომავლის მიღწევა შეგეძლო, მაგრამ... არ გასაყვედურობ, შვილო, უბრალოდ გეუბნები, არ გამიბრაზდე, შენ გაბრაზება არ გჩვევია.

არ ვიცი რა დავარქვა იმ ტკივილს, რომელიც ასერიგად გვტანჯავს და გვტკივა და მაინც რაღაც ზეციურის მოლოდინში ვართ...

ნიკა, შენ თითოეული ჩვენთაგანის სიცოცხლე უინტერესო, უიმედო, უსიცოცხლო გახადე. ყველაფერი გაფერმკრთალდა, მხოლოდ შენი საფლავია ჩვენი ნავსაყუდელი, ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრება და სიცოცხლე ჰქვია.

ჩვენო კეთილო და საყვარელო ბიჭო, რაც დრო გადის, უფრო გვიჭირს უშენობა, არადა ერთი წელი გაილია ამ ტანჯვაში, ტკივილსა და ცრემლებში. იცოდე, ეს გოდებით და ვაებით განვლილი დღეებია. არცერთ დედას არ განეცადოს ასეთი ულმობელი და ტკივილიანი დღეები.

შვილო, შენ ისეთი კეთილი, მოყვარული, ღვთისმოშიში იყავი, ალბათ, უფალმაც შეგიწყნარა, შეისმინა ჩვენი თხოვნა-მუდარა და გაპატია ის, რაც მოხდა. ღმერთი მიმტევებელია და ამით ვსულდგმულობთ.

უშენოდ მოვიდა 8 ოქტომბერიც შენი დაბადების დღე, რომლის აღნიშვნა ასე არ ვიცოდით. შენმა წლისთავმაც ჩაიარა, წარსულის მოგონებებით, შენი სურათების ჩახუტებით. იმ დღეებში განსაკუთრებით ბევრი ადამიანი მოვიდა შენს საფლავთან ახლობლები, მეგობრები, ყველა ისინი, ვისაც ახსოვხარ და ტკივა უშენობა, ვინც შეძლო და მოვიდა ჭიქა ღვინო წაგიქცია...

მშვიდობით შვილო, მჯერა იქ, ზეციურ საქართველოში შეგხვდებით, როცა სიკვდილი ჩვენც აგვყრის ბორკილებს და სული სასუფეველში შევა, იქ სადაც ჩვენზე ადრე შენმა სულმა შეაღწია...

***ნატო, ელდარი, ალიკა ლატარიები. სალომე მოსია და შენი მარი.***

## ლიანა გვასალია-წირღვავა



საოცარია ბედისწერა. არავინ იცის რას გვიმზადებს იგი. ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა 55 წლის ლიანა გვასალია-წირღვავა, პიროვნება გამორჩეული ადამიანური სიყვარულით და სითბოთი სავსე გულით.

ლიანა იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც შეუმჩნევლად, უანგაროდ იხარჯებიან და მადლის ქვაზე სიკეთეს დებენ, მერე კი უხმაუროდ ტოვებენ სამზეოს. ლიანა გვასალია-წირღვავა ღირსეული დედა, მეუღლე, ბებია, თანასოფლელთათვის საიმედო და განსაკუთრებული გულისხმიერებით შემკული ქალბატონი გახლდათ. იშვიათად მოიძებნებოდა ადამიანი, ქველმოქმედებით გამორჩეულ ლიანას დახმარების ხელი არ გაეწვდინოს.

ლიანა გვასალია-წირღვავას ლამაზი სული მის შთამომავლობაში გადავა, როგორც სიკეთისა და სილამაზის განსხეულება. არასოდეს მოაკლდება მათგან წმინდა სანთელი და საყვარელი ადამიანების ცრემლით დანამული ყვავილები.

***ახლობლები და მეგობრები***

**ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საბიბლიოთეკო ქსელის ბიბლიოთეკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი. ჩინებული ოჯახის დედა და მეუღლე**

**მაყვალა ლიპარტია-ცხადაია**

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახსა და ახლობლებს.**



**ხობის მუნიციპალიტეტის თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ თანამშრომლის, უკეთილშობილესი ადამიანის**

**მაყვალა ლიპარტიას**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**უფალმა დაუმკვიდროს სამუდამო სასუფეველი!**

ხობის კოლორიტი

# ვეტერანის ცხოვრების ლამაზი ფურცელი

ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი ღვაწლმოსილი ადამიანია, რომელთა ცხოვრებას არასოდეს მოჰკიდებია „ჭუჭყი და ჟანგი“, ისინი თავიანთი გავლილი ცხოვრებით ამაყად დააბიჯებენ საკუთარ



სიყრმის ქალაქში თუ სოფელში, როგორც ღირსეული შვილები მშობლიური კუთხისა.

ეს ნარკვევიც ერთ-ერთ მათგანს, ქართული სპორტის „დესპანს“, კოლორიტ კაცს, დამსახურებულ პედაგოგს, ხობის სპორტის მემატიანეს ბატონ ნიკოლოზ (რობიკო) ჭითავას ეძღვნება. მართალია, მე საკადრისად ვერ შევაფასებ მის მაშტაბურ ღვაწლს, მაგრამ შევეცდები, ჩემეულად გამოვხატო ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც წლებია მის ოჯახთან მაკავშირებს.

შემოდგომის ერთ მზიან დღეს ოჯახში ვესტუმრე ადამიანს, რომელიც ჩემთვის ყოველთვის იყო ინტელიგენტობის, სიწმინდის, პატიოსნებისა და უზადო კეთილშობილების სამაგალითო ნიმუში.

ჭიშკარი მორიდებით შევაღე, (თან მახლდნენ ბატონები: ბეჟან ნადარაია და დანიელ სერგია) ულამაზეს მამულში მოფუსფუსე ქალბატონს მოკრძალებით მივესალმე და ოჯახის უფროსი მოვიკითხე.

სტუმარ-მასპინძლობის ეტალონად ცნობილმა ქალბატონმა შინ შეგვიპატიჟა. ღვთისწყალობით ბატონი რობიკო მხნედ დაგვხვდა. ჩვენმა სტუმრობამ ძალიან გაახარა.

ვუცქერდი მათ და ჩემს თვალწინ ცოცხლდებოდა გარდასული დღეები, საოცრად ლამაზად ჩავლილი წლების ხიბლი... აჰა, მისი გრძელი და დაუცხრომელი გზის 89-ე წელიც მიილია. მის თვალწინ ჩაიარა მთელმა ეპოქებმა. თვალწინ კი არა, მის გულში გაიარეს, მის მხრებზე გადაიარეს. ეს არის ადამიანი, რომელიც სინდისიერების და სიკეთის სინონიმად იყო ქცეული კოლეგების, მეგობრების და მთლიანად ხობელების გულში.

რა არის ქვეყნად ჩვენი მოსვლის მისია მეთქი, ეს ნამდვილად არ მიკითხავს ბატონი რობიკოსთვის, რადგანაც ჩვენს ხანმოკლე საუბარში არაერთგზის გამოიკვეთა ჩემი შეკითხვის საოცრად დახვეწილი და სწორი პასუხი.

–სადაც მიცხოვრია და მიმუშავნია, ყველაგან პირნათლად შემისრულებია ჩემი მოვალეობა... ბევრ სკოლაში ვიმუშავე. ვიყავი ჩვენი რაიონის სპორტსკოლის დირექტორი, განათლების განყოფილებაში მოსწავლე-ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე. სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ საბჭოს თავმჯდომარე. ჩემს თვალწინ ათასობით თაობა დაფრთიანდა. კოლეგებთან ერთად მოედნის შიგნით და მოედნის გარეთ ბევრი კარგი საქმე გამიკეთებია. ჩემი აღზრდილები ცნობილი სპორტსმენები და დამსახურებული მწვრთნელები არიან. ვამაყობ და თამამად შემიძლია განვაცხადო, ის წლები, რაც მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდას შევალიე, ბედნიერებას მანიჭებს.

მადლობა გახსენებისთვის, იმისთვის, რომ უბრალო მოკვდავი ესოდენ დიდი პატივითა და ღირსებით შემამკეთ, მადლობა ბატონ ბეჟან ნადარაიას, თქვენთან შეხვედრამ და საუბარმა მეტი ძალა შემმატა, გაიხარეთ.

დიახ, ბატონი რობიკო 60-70-იანი წლების ღვიძლი და ღირსეული შვილია, რომელმაც ქართულ სპორტს საუკეთესო აზარტი და ნიჭი შემატა, მისი სასპორტო ქრონიკა ბევრ საინტერესო წარსულს ასახავს, ფოტო-მასალები, სპორტულ ასპარეზობებში მიღებული დიპლომები, სიგელები „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი...

„უამისოდ სახელს ვინ მისცემს, თუკი არა ჰქმნა საქნელი“, ჭეშმარიტად ღაღადებს დიდი მგოსნის ეს სიტყვები. კაცი თუ არ დაიმსახურებს, ისე ვერავინ მიაგებს მას ღირსეულ პატივს, ხოლო ბატონმა რობიკომ თავისი პროფესიონალიზმით, ჰუმანურობით, განსწავლულობით ეს პატივი ნამდვილად მოიპოვა.

მართლაც ბევრი მქონია სათქმელი და რაც უფრო ახლოს იცნობ ადამიანს, მით უფრო ადვილია მასზე საუბარი და წერა, თუმცა ბატონ რობიკოს არ უყვარს თავის თავზე და ოჯახზე ბევრი ლაპარაკი, მაგრამ მე მაინც მოვახერხე მისი „გახსნა“ და სანიმუშო ოჯახის საქმეებშიც ჩავიხედე...



მეუღლე ქალბატონი ეთერ ჯავახია ცნობილი ბუღალტერი, გულგაშლილი მასპინძელი, დახვეწილი არისტოკრატული მანერებით, თბილი და გემრიელი ქალბატონი, დიდი ოჯახის დიდი დიასახლისი და ღირსეული შვილების აღმზრდელი დედაა. მისი მთავარი სამკაული ოჯახია. მიუხედავად ქალბატონი ეთერის დიდი თხოვნისა, მაინც მინდა დიდი პატივისცემა გამოვხატო მათი შვილის გიას მიმართ. ის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია და სამშობლოს ოთხ შვილს უზრდის. მეუღლე ქალბატონი მაკა ასევე ცნობილი ქართული ტრადიციული ოჯახის–ბატონ დანიელ სერგიას და ქალბატონ მთვარისა ჯაკონიას ქალიშვილია. მოვიხიბლე მისი ინტელექტით, სტუმარ-მასპინძლობით, ღიმილიანი, თბილი დამოკიდებულებით.

ნამდვილად სიყვარულით აღსავსე გარემოში მოვხვდით. ეზო სავსე იყო შვილიშვილებით–მარიამი, ხატია და ორი ტყუპი. თვალხატულა გოგო-ბიჭები მართა და ბაბუას სეხნია ნიკოლოზი, ბებიას და ბაბუას ახარებდნენ.

შემოდგომის ხვავიანი და ბარაქიანი სუფრის გარშემო სადღერძელოები ისმოდა. იცოცხლეთ ბატონო რობიკო, იყავით დიდხანს თქვენს ლამაზ კარ-მიდამოში, მალე გენახოთ ჭეშმარიტად თავისუფალი, გამთლიანებული, წელში გამართული ამაყი საქართველო.

მეამაყებით და მიყვარხართ.

**ნაირა ბერაია.**

## ხობის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს განმეორებით აუქციონს

### ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

დანართი 1

| № | ქონების დასახელება | ექსპლოატაციაში შესვლის წელი | სავარაუდო ფართი კვ.მ | საწყისი ფასი | ბიჯი-10% | „ბე“ 10% | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გრანიტის ფილები | 1975 | 150 | 900 | 90 | 90 | |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2017 წლის 4 დეკემბერი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–300403376, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში ხობის მუნიციპალიტეტის მერიასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ მერიაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის მერიისეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში,საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა–ტელ-599-85-60-91.

**ხობის მუნიციპალიტეტის მერია**

მილოცვა

## ანი კვაშილავას!



დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს საყვარელ შვილიშვილ ანას, ის ამ დღეებში 9 წლის გახდა. ვუსურვებთ ლაღ, ბედნიერ ცხოვრებას. მშობლების, ბებია–ბაბუების, ახლობლების გულგასახარად ბედნიერ საქართველოში ჯანმრთელად და წარმატებულად ეცხოვროს.

გვიყვარხარ, ანი!

**გრიანა და გიგლა კვიკვინიები.**

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა– ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.